ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების მიზნით უზრუნველყოფ	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი

ილია შესრულებული სამუშაოების ხარისხის და მოცულობის შესაბამისობის კონტროლი	ჩატარებული ექსპერტიზების რაოდენობა	50	70	ცალი	5%	ინფრასტრუქტურის სამსახური;	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამა 02 05

პროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ინიცირებული პროექტის - მონაწილეობითი ბიუჯეტის (იყავი თანამმართველი) ფარგლებში. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 ნოემბრის #15 დადგენილებით დამტკიცდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის შედგენის წესი, რომლის თანხამად: 1.მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამა (შემდგომში – პროგრამა), წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (შემდგომში-მუნიციპალიტეტი) საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 85-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმას და საბიუჯეტო პროცესის შემადგენელ ნაწილს, რომელიც მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას წარადგინონ და აირჩიონ მათთვის პრიორიტეტული პროექტები, რომლის განხორციელებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.

2. პროგრამის ფარგლებში მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი იდეების განხორციელების არეალი უნდა ექცეოდეს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიზნად ისახავდეს საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას.

3. პროგრამა შეიძლება განხორციელდეს დისტანციურად (ინტერნეტ და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით) ან პირდაპირი ხმის მიცემის სისტემის/ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ასევე დასაშვებია შერეული ხმის მიცემის სისტემაც. იდეის ავტორი/ავტორები შესაძლებელია იყვნენ– საქართველოს მოქალაქე ან/და მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფი რომელიც პროგრამის ფარგლებში წარადგენს იდეას (განაცხადის სახით); პროგრამის მონაწილე – მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საპროექტო იდეის ავტორი/ავტორები 18 წლის ასაკიდან და პროგრამის ხმის მიცემის პროცესის მონაწილე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული აქტიური ხმის უფლების მქონე, საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან;

2027 წელს დაგეგმილია ორი პროექტის განხორციელება.

პროგრამის მიზანი:

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება;

მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა	განხორციელებული პროექტი	1	2	2	2	2	პროექტის რაოდენობა	10%	ინფრასტრუქტურის სამსახური;	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში											

ბინათმშენებლობა 02 06

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, ლიფტების შეკეთება-აღდგენა, შიდა საერთო მოხმარების წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების შეკეთება, კიბის უჯრედების მოწესრიგება. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მრავალბინიანი სახლების საერთო საკუთრებაში არსებული ეზოების კეთილმოწყობა, მოსახლეობის (მ.შ. ბავშვების) დასვენებისა და გართობისათვის ღია სივრცეების შექმნა და მოწესრიგება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 333 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, აქედან 100 არის ქ. ოზურგეთში. აღნიშნული სახლების 45 %-ის ფასადები საჭიროებს რემონტს. დაგეგმილია მრავალბინიანი სახლის ფასადების რეაბილიტაცია. დაგეგმილია მრავალბინიანი სახლების ეზების კეთილმოწყობა. პროგრამის ფარგლებში მოეწყობა თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპების დაცვით შექმნილი ინფრასტრუქტურა.

პროგრამის მიზანი:

მრავალბინიანი სახლების მობინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა და ეზოებში დასვენებისა და გართობისათვის ღია სივრცეების მოწესრიგება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

გაუმჯობესებულია მრავალბინიანი სახლების ინფრასტრუქტურა და მობინადრეთათვის შექმნილია კომფორტული საცხოვრებელი გარემო.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
გაუმჯობესებულია მრავალბინიანი სახლების ინფრასტრუქტურა და მობინადრეთათვის შექმნილია კომფორტული საცხოვრებელი გარემო	პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების რაოდენობა	14	14	14	14	14	რაოდენობა	5%	ინფრასტრუქტურის სამსახური;	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც ისარგებლებენ განხორციელებული პროექტებით	750	800	1000	1200	1500	რაოდენობა	5%	ინფრასტრუქტურის სამსახური;	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

მრავალბინიანი საცხოვრებელი ეზოების კეთილმოწყობა 02 06 01

ქვეპროგრამის აღწერა:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, მრავალბინიანი სახლების საერთო საკუთრებაში არსებული ეზოების კეთილმოწყობა, მოსახლეობის დასვენებისა და გართობისათვის ღია სივრცეების შექმნა და მოწესრიგება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 333 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, აქედან 100 არის ქ. ოზურგეთში.

ქვეპროგრამის მიზანი:

მრავალბინიანი სახლების ეზოებში დასვენებისა და გართობისათვის ღია სივრცეების მოწესრიგება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში დასვენებისა და გართობისათვის მოწყობილია ღია სივრცეები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში დასვენებისა და გართობის	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი

ათვის მოწყობილია ღია სივრცეები	მრავალბინიანი სახლების კეთილმოწყობილი ეზოები	1	2	ცალი	5%	ინფრასტრუქტურის სამსახური;	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

ბინათმესაკუთრება ამხანაგობების მხარდაჭერა 02 06 02

ქვეპროგრამის აღწერა:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა. განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, ლიფტების შეკეთება-აღდგენა, შიდა საერთო მოხმარების წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების შეკეთება, კიბის უჯრედების მოწესრიგება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 333 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, აქედან 100 არის ქ. ოზურგეთში. აღნიშნული სახლების 45%-ის ფასადები საჭიროებს რემონტს. წინა წლებში მრავალბინიანი სახლების 80 %-ს შეეცვალა დაზიანებული სახურავი, შეკეთდა სახურავების წყალშემკრები სისტემა. მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის ქ.ოზურგეთში რეაბილიტირებულ იქნა 6 ლიფტი. 7 მრავალბინიან კორპუსში განხორციელდა შიდა საკანალიზაციო ქსელების აღდგენითი სამუშაოები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლიდან დღემდე რეგისტრირებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა შეადგენს-12. ქვეპროგრამის საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებისა და ქალაქის ურბანულ ინფრასტრუქტურაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება;

ქვეპროგრამის მიზანი:

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა; მობინადრეთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ხელშეწყობილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები და შექმნილია პირობები საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებისთვის.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ხელშეწყობილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები და შექმნილია პირობები საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებისთვის	წლის განმავლობაში რეაბილიტირებული სახლის სახურავები და ფასადები	4	4	ცალი	10.00%	ინფრასტრუქტურის სამსახური;	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტირებული წყალმომარაგების და კანალიზაციის შიდა ქსელები	7	4	ცალი	10.00%	ინფრასტრუქტურის სამსახური;	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

გარე განათება და ელმომარაგება 02 07

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის გაფართოებას. ახალი ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით გარე განათების LED სანათების მოწყობას, ასევე მოძველებული სანათების ახალი სანათებით ჩანაცვლებას. გარე განათების სისტემის მოწყობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური ინკლუზიურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რადგან გაუნათებელი ქუჩები განსაკუთრებით რისკის შემცველია ქალებისა, ბავშვებისა, ხანდაზმულებისა და შშმ პირებისთვის. გამართული და სათანადოდ მოვლილი განათების ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად ამცირებს დანაშაულისა და შემთხვევითი ტრავმების რისკებს. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. პროგრამით ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების დაფარვა. ღამის განათების ქსელებით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის დასახლებული ერთეულების ცენტრალური უბნები და ქ. ოზურგეთის ქუჩების, მოედნების და ღია სივრცეების 85%.

პროგრამის მიზანი:

ღამის საათებში მოსახლეობის მ.შ. ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგებით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ღამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისთვის გამართულად ფუნქციონირებს გარე განათების სისტემა და უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების ელ.მომარაგება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 7 - იაფი, საიმედო, მდგრადი და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ღამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისთვის გამართულად ფუნქციონირებს გარე განათების სისტემა და უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების ელ.მომარაგება	გარე განათების წერტილების რაოდენობა, რომელთა მოვლა-პატრონობა განხორციელდება პროგრამის ფარგლებში	20529	21000	21500	22000	22500	პროცენტული მაჩვენებელი	5%	ინფრასტრუქტურის სამსახური;	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	გარე განათების ქსელით მოსარგებლე ბენეფიციართა პროცენტული შეფარდება მუნიციპალიტეტის მთლიან	70	72	74	76	78		5%			

	მოსახლეობასთან										
	დასახლებული პუნქტების რაოდენობა, რომლებიც ისარგებლებენ გარე განათების ქსელით	70	72	74	75	75	პროცენტული მაჩვენებელი	5%	ინფრასტრუქტურის სამსახური;	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია 02 07 01

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის გაფართოებას. ახალი ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით გარე განათების LED სანათების მოწყობას. ღამის საათებში მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ღამის განათების უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. ღამის განათების ქსელებით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის დასახლებული ერთეულების ცენტრალური უბნები და ქ. ოზურგეთის ქუჩების, მოედნების და ღია სივრცეების 85%. ღამის განათების ქსელის მთლიანი სიგრძე შეადგენს 600 კმ-ს. დამონტაჟებულია 20529 ერთეული სხვადასხვა ტიპის სანათი. მ.შ. 11994 ერთეული LED სანათი. მიუხედავად აღნიშნულისა, მოსახლეობიდან შემოდის მოთხოვნები სოფლების სხვადასხვა უბნებში გარე განათების ქსელების მოწყობის უზრუნველსაყოფად. გარე განათების ქსელების გაფართოება დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განათების გარეშე დარჩენილ განსაზღვრულ მონაკვეთებზე, გარე განათების მოწყობას საჭიროებს სოფლად დასახლებული ერთეულების პერიფერიული უბნები.

ქვეპროგრამის მიზანი:

ღამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მოწყობილია გარე განათების ქსელი და შექმნილია პირობები ღამის საათებში მოსახლეობის (ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა) უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 7 - იაფი, საიმედო, მდგრადი და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

გენდერული: დიახ.

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
მოწყობილია გარე განათების ქსელი და შექმნილია პირობები ღამის საათებში მოსახლეობის (ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა) უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	გარე განათების წერტილების რაოდენობა	20529	21000	ცალი	10%	ინფრასტრუქტურის სამსახური;	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც ისარგებლებენ გარე განათების რეაბილიტირებული ან/და ახალი გაკეთებული სისტემებით	450	450	ცალი	10%	ინფრასტრუქტურის სამსახური;	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

	გარე განათების ელექტროსა დენების სიგრძე	600000	607000	გრძ.მ	10%	ინფრასტრუ ქტურის სამსახური;	მიღება-ჩაბარე ბის აქტები	სახელშეკრ ულებო პირობების დარღვევა

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების ელმომარაგების ხარჯების ანაზღაურება 02 07 02

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების (დასახლებულ ერთეულებში) და გარე განათების მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების დაფარვა.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგებით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 7 - იაფი, საიმედო, მდგრადი და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
უზრუნველყოფილი ა მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელ ი)	2027 წელი (მიზნობრივ ი მაჩვენებელ ი)	ზომის ერთეუ ლი	ცდომილებ ის ალბათობა (%)	მონაცემ თა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი

შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგება	გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი	1200000	1200000	ლარი	5%	სს ენერგო პრო ჯორჯია	მრიცხველების აღრიცხვა	ელ. ენერგიის ტარიფის ზრდა

გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია 02 07 03

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ღამის განათების უზრუნველყოფას, რომლის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. ღამის განათების ქსელებით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის დასახლებული ერთეულების ცენტრალური უბნები და ქ. ოზურგეთის ქუჩების, მოედნების და ღია სივრცეების 85%. ქალაქ ოზურგეთში განთავსებულია 5020 ლამპიონი. სულ მოწყობილია სხვადასხვა ტიპის 20529 ლამპიონი. გარე განათების ქსელის მთლიანი სიგრძე შეადგენს 600 კმ-ს.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 7 - იაფი, საიმედო, მდგრადი და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობა	გარე განათების ქსელის წერტილების რაოდენობა, რომელთა მოვლა-პატრონობა განხორციელდება ქვეპროგრამიდან	20,529	21000	ცალი	5%	ინფრასტრუქტურის სამსახური;	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	გარე განათების ქსელით მოსარგებლე ბენეფიციართა პროცენტული შეფარდება მუნიციპალიტეტის მთლიან მოსახლეობასთან	70	72	%	5%	ინფრასტრუქტურის სამსახური;	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

მუნიციპალური ტრანსპორტი 02 08

პროგრამის აღწერა:

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შ.პ.ს. ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანიის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის ოცდასამ დასახლებულ ერთეულში მგზავრების რეგულარული გადაყვანა. შპს „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს ბალანსზე ირიცხება 14 სატრანსპორტო ერთეული (სამგზავრო ავტობუსი), მათგან რვა ერთეული არის ახალი, შშმ პირებზე ადაპტირებული ავტობუსი. საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება ხორციელდება თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპების დაცვით. დღის განმავლობაში მგზავრთა გადაყვანა ხორციელდება შვიდ მარშრუტზე:

ოზურგეთი-კვირიკეთი-წითელმთა-შემოქმედი-გორისფერდი--გომი - ათი რეისი; ოზურგეთი-ნაგომარი-ორი რეისი; ოზურგეთი-დვაბზუ-ცხემლისხიდი-ბაღდადი-ვაკიჯვარი -ექვსი რეისი; ოზურგეთი-ქვ. ბახვის გადასახვევი - ხუთი რეისი; ოზურგეთი-ლაითურში-ნარუჯა - ხუთი რეისი; ოზურგეთი-ურეკი - ოთხი რეისი; ოზურგეთი-მთისპირი -ორი რეისი. შ.პ.ს. ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანიის მიერ სრულდება ყოველდღიურად 34 რეისი, შვიდ მარშრუტზე. მგზავრთა ჯამური ადგილი შეადგენს 264 ერთეულს, გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა დღეში საშუალოდ შეადგენს -350-ს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების სისტემის მოწესრიგება სპეციალურად გამოყოფილ ზონებში.

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით განხორციელებული სატრანსპორტო გადაზიდვები; - დროულად და კომფორტულად გადაყვანილი მგზავრები, მუნიციპალიტეტის მიერ კონტროლირებადი ტარიფებით მგზავრთა მომსახურება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომობილების პარკირების მოწესრიგება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურება და უზრუნველყოფლია მგზავრთა რეგულარული გადაყვანები. მოწესრიგებულია ქალაქის ტერიტორიაზე საპარკინგე ლოკაციები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი									
ინდიკატორის დასახელება	2026 წელი(საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2028 წელი	2029 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი

გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა	80000	82000	85000	90000	სული	10%	განხორციელებული გადაზიდვები	მგზავრნაკადების აღრიცხვა	პანდემია
შესრულებული რეისების რაოდენობა	12240	12340	12500	13100	რეისი	10%	განხორციელებული გადაზიდვები	მგზავრნაკადების აღრიცხვა	პანდემია

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 02 09

პროგრამის აღწერა:

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესების მიზნით, მოსახლეობებთან შეხვედრების განხორციელება, მათი მოთხოვნების შესაბამისად განსახორციელებელი პრიორიტეტების შერჩევა და პრიორიტეტების გათვალისწინებით მომზადებული საპროექტო წინადადებების შესაბამისად ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება. მოსახლეობასთან შეხვედრებში გათვალისწინებული იყო დამსწრე ქალთა და მამაკაცთა მიერ დასახელებული პრიორიტეტები. 2025 წელს აღნიშნული პროგრამით განხორციელდა 4458კბმ მ-300 მარკის მზა ბეტონის ნარევის შესყიდვა და მზა მავთულის ბადის შესყიდვა და მიწოდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში, ბეტონის გზების მოსაწყობად. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით განხორციელდა დასახლებულ ერთეულებში გზების სავალი ნაწილის კრიტიკულ მონაკვეთებზე არმირებული ბეტონის საფარის მოწყობა, საერთო სიგრძით 9,9კმ.

პროგრამის მიზანი:

სოფლად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით სოფლად გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით სოფლად გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა	განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა	150	150	150	150	150	ლარი	5%	ინფრასტრუქტურის სამსახური	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია 02 10

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ათწლეულობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ხშირი წვიმების შედეგად გამოწვეული წყალუხვობის დროს ზიანდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნაპირსამაგრი ნაგებობები (გაბიონები და ნაპირდამცავი კედლები), ასევე კალაპოტებიდან გადმოსული წყალმოვარდნების შედეგად ზიანდება მდინარეების მიმდებარედ არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და ხიდები, საგზაო ნაგებობები, მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები და სხვადასხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები. ქარიშხლების ზემოქმედების შედეგედ, ათწლეულობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ადგილი აქვს მრავალბინიანი და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სახურავების დაზიანებას.

პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სამუშაო ჯგუფების მიერ ხორციელდება გამოწვეული ზარალის შეფასება და აღნიშნული მასალების წარდგენა საქართველოს მთავრობასთან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ შესაბამისი სახსრების გამოყოფის მიზნით. გამოყოფილი თანხების შესაბამისად ხორციელდება სტიქიის შდეგეად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია, პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, ასევე კერძო მფლობელობაში არსებული მრავალბინიანი და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია და სტიქიისაგან დაზარალებული მოსახლეობისათვის საჭირო სამშენებლო მასალების გადაცემა. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების ფარგლებში, 2026 წელს განხორციელდა 10 (ხუთი) ერთეული ხიდის და მილხიდის რეაბილიტაცია, გადაიხურა 49 მრავალბინიანი სახლი (გადახურული სახურავების საერთო ფართობი -17500 კვმ), მოეწყო საყრდენი კედელი საერთო სიგრძით - 160 გრძ.მეტრი, სანიაღვრე არხი საერთო სიგრძით - 100 გრძ.მეტრი.

პროგრამის მიზანი:

სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია, სტიქიის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ლიკვიდირებულია სტიქიით გამოწვეული შედეგები

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ლიკვიდირებულია სტიქიით გამოწვეული შედეგები	ადმინისტრაციული ერთეულების რაოდენობა, სადაც განხორციელდა სტიქიის სალიკვიდაციო და	29	29	ლოკაცია	5%	ინფრასტრუქტურის სამსახური	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

	პრევენციული ღონისძიებები							
	სტიქიით დაზარალებული ოჯახების რაოდენობა, რომელთაც გაეწია დახმარება	521	250	კომლი	5%	ინფრასტრუქტურის სამსახური	მიღება-ჩაბარების აქტები	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 00

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ჩამდინარე წყლების მართვა მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობა, სასაფლაოების ტერიტორიის მოწესრიგება.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი/პროგრამა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**5,950.0**	**6,400.0**	**6,800.0**	**7,100.0**
03 01	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,900.0	3,100.0	3,300.0	3,500.0
03 02	კომუნალური მომსახურება	3,050.0	3,300.0	3,500.0	3,600.0

დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 01

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება.პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების დეზიფექცია, მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 1800 ურნაში და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; ქალაქის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანას მოემსახურება 4 ნაგავმზიდი, ხოლო მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებისა და დაბების ტერიტორიიდან გატანას მოემსახურება 7 ნაგავმზიდი. დღეს არსებული სიტუაციით მუნიციპალიტეტში ყოველდღიურად სუფთავდება 356680 კვმ ფართობი. პროგრამის ფარგლებში 2026 წლისათვის ყოველდღიურად მოხდება 396680 კვმ ფართობის დასუფთავება მ.შ. ქალაქის ტერიტორიაზე 248680 კვმ და სოფლებისა და თემების ტერიტორიაზე 148000 კვმ-ის. ნარჩენების მართვის პროცესში გათვალისწინებული იქნება თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპები.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა და მუნიციპალური ნარჩენების მართვა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა და მუნიციპალური ნარჩენების მართვა	ურბანულ დასახლებაში ასფალტირებული /ასფალტობეტონის / ბეტონის ან გრანიტის საფარის მქონე ქუჩების %, სადაც უზრუნველყოფილია დაგვა-დასუფთავების მომსახურება	90%	100%	100 %	100 %	100 %	%	5%	ა(ა)ი.პ ოზურგეთის მომსახურების ცენტრი	მონიტორინგი	ფორს-მაჟორი
	დასახლებულ პუნქტებში განლაგებული კონტეინერების რაოდენობის შეფარდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობასთან	1/33	1/30	1/30	1/28	1/25	ცალი	5%	ა(ა)ი.პ ოზურგეთის მომსახურების ცენტრი	სტატისტიკური მეთოდი	ფორს-მაჟორი
	დასახლებული პუნქტების %, სადაც უზრუნველყოფილია ნარჩენების გატანა	60%	65%	70 %	75 %	80 %	%	2%	ა(ა)ი.პ ოზურგეთის მომსახურების ცენტრი	სტატისტიკური მეთოდი	ფორს-მაჟორი

კომუნალური მომსახურება 03 02

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტში არსებულ სკვერებსა და პარკებში მცენარეთა ფიტო-სანიტარიული და ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორება, მოსახლეობისათვის კომფორტული გარემოს უზრუნველყოფა. განხორციელდება ახალი ხე-მცენარეების, ყვავილებისა და სხვადასხვა ნარგავების დარგვა, ახალი გამწვანების ზონების შექმნა.

უზრუნველყოფილი იქნება მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 23 ერთეული, 288024კვმ საერთო ფართობის სკვერი, პარკი და ტყე-პარკი. მ.შ. ქალაქის ტერიტორიაზე 14 ერთეული, 228297 კვმ საერთო ფართობის ღია სივრცე. რეაბილიტირებული სკვერების და პარკების წილი შეადგენს 20%-ს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რქოსანი პირუტყვის გადაადგილების კონტროლი და მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვა . ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,წლის განმავლობაში დაახლოებით 300 ჰა-ზე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უკონტროლო გადაადგილების აღკვეთას, 358 მაწანწალა ძაღლის დაჭერას, თავშესაფარში გადაყვანას შემდომში სამედიცინო სამუშაოების (სტერილიზაცია, კასტრაცია, პარაზიტებზე დამუშავება, იდენტიფიცირება (ყურის კლიპის მეშვეობით ცოფზე აცრა) ჩატარებისა და მის ბუნებრივ არიალში დაბრუნებას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოებთან მისასვლელი გზებისა და უპატრონო საფლავების გაცელვა-გაწმენდას,შხამ-ქიმიკატებით დამუშავებას, ღობეების აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას, სასაფლაოების ტერიტორიაზე არსებული ხე-ბუჩქნარის სანიტარული ჭრის ჩატარებას. სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების გარკვეული ნაწილი ამორტიზირებულია და მოითხოვს განახლებას. მუნიციპალიტეტის ქუჩების სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობას (ექსპლოატაცია), მიმდინარე შეკეთებას, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმიმღებების, საკონტროლო ჭების, გვერდმიმღებების მოწყობას.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მცენარეთა ფიტო-სანიტარიული მდგრადობის შენარჩუნება, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა, მიუსაფარი ცხოველების იდენტიფიცირება და პოპულაციის მართვა. გარე განათების სისტემის მოვლა-პატრონობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა.გამართულია კომუნალური სერვისები

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

პროგრამის ინდიკატორი:

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები								
მოსალოდნელი შუალედური შედეგი (OUTPUT)	შედეგის ინდიკატორები			ზომის ერთეული	გეგმიური გადახრა	მონაცემთა წყარო	მეთოდოლოგია	რისკი
	დასახელება	2026 წელი (საბაზისო)	2027 წელი					
უზრუნველყოფილია სკვერებისა და პარკების ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა,მოწყობილია გარე განათების ქსელი და შექმნილია პირობები ღამის საათებში მოსახლეობის (ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა) უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის	გამწვანებული ტერიტორიის წილი, რომელზეც ხორციელდება გამწვანების (მრავალწლიანი ნარგავები) მიმდინარე ღონისძიებები	55%	60%	პროცენტი	10%	ა(ა)ი.ჰ ოზურგეთის მომსახურების ცენტრი	მონიტორინგი	ფორს-მაჟორი
	ფართობი, რომელზეც ხორციელდება ყვავილების დარგვა	370 კვ მ	400კვ მ	კვ.მ	10%	ა(ა)ი.ჰ ოზურგეთის მომსახურების ცენტრი	მონიტორინგი	ფორს-მაჟორი
	ერთწლიანი ყვავილების რაოდენობა, რომელთა დარგვაც ხდება	N/A	20000	ძირი	10%	ა(ა)ი.ჰ ოზურგეთის მომსახურების ცენტრი	მონიტორინგი	ფორს-მაჟორი
	გარე განათების ლამპიონების რაოდენობა	17000	17200	ცალი	10	ა(ა)ი.ჰ ოზურგეთის მომსახურების ცენტრი	მონიტორინგი	ფორს-მაჟორი

განათლება 04 00

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში, ასევე დაფინანსდება ზოგადი განათლების ხელშემწყობი ღონისძიებები.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი/პროგრამა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
04 00	**განათლება**	**11,109.0**	**11,975.0**	**12,220.2**	**12,412.3**
04 01	სკოლამდელი განათლება	10,669.0	11,520.0	11,740.2	11,907.3
04 01 01	ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრი (040101)	10,649.0	11,500.0	11,720.2	11,887.3
04 01 02	სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურის განვითარება (040102)	20.0	20.0	20.0	20.0
04 01 03	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგთა დაჯილდოება (040103)				
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	250.0	255.0	280.0	305.0
04 02 01	საჯარო და სამრევლო სკოლების ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება, მცირე კაპიტალური ხარჯის გაწევა (040201)	65.0	65.0	80.0	100.0
04 02 02	წარმატებული კურსდამთავრებულებისა და მათი სკოლების დაჯილდოება (040202)	145.0	150.0	160.0	160.0
04 02 03	საგანმანათლებლო და სახელოვნებო სექტორის მხარდაჭერა (040203)	40.0	40.0	40.0	45.0
04 03	განათლების ხელმისაწვდომობისა და თანასწორობის გაძლიერება	190.0	200.0	200.0	200.0
04 03 01	განათლების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდა (040301)	160.0	170.0	170.0	170.0
04 03 02	საგანმანათლებლო-შემეცნებითი აქტივობების მხარდაჭერა (040302)	30.0	30.0	30.0	30.0

სკოლამდელი განათლება 04 01

პროგრამის აღწერა:

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი ემსახურება 44 საბავშვო ბაღს,რომელთა შორის ქალაქ ოზურგეთში განთავსებულია 8 საბავშვო ბაღი ,ხოლო მუნიციპალიტეტის თემებში 36 საბავშვო ბაღი.ბავშვთა რაოდენობა სულ შეადგენს 1882 აღსაზრდელს, რომელთა შორის 745 არის ქალაქის ბაღებში და 1265 სოფლების ბაღებში.აღნიშნული ბავშვთა კონტინგენტიდან 888 არის გოგო და 994 ბიჭი. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 863 თანამშრომელი, მათ შორის 81 მამაკაცი და 782 ქალი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

პროგრამის მიზანი:

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელშეწყობა; საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის თანაბარი ხელმისაწვდომობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 1 -სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის ხელმისაწვდომობა	დასახლებული ერთეულების რაოდენობა, სადაც ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი	29	29	29	29	29	დასახლება	0%	სკოლამდელი აღზრდის ცენტრი	სტატისტიკური	ფორს-მაჟორი
	მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის სერვისით მოსარგებლე აღსაზრდელთა წილი 6 წლამდე ბავშვთა საერთო რაოდენობაში	54%	60%	65%	67%	70%	ბავშვი	5%	სკოლამდელი აღზრდის ცენტრი	სტატისტიკური	სკოლამდელი აღზრდის შენობების ნაკლებობა
	სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიწოდების ხარჯები ერთ აღსაზრდელზე	3395	4104	4250	4400	4500	ლარი	10%	სკოლამდელი აღზრდის ცენტრი	სტატისტიკური	პანდემია, საგანგებო მდგომარეობა
	აღმზრდელთა რაოდენობა ბავშვების საერთო რაოდენობასთან მიმართებით	1/11	1/11	1/11	1/11	1/11	1/11	5%	სკოლამდელი აღზრდის ცენტრი	სტატისტიკური	პანდემია, საგანგებო მდგომარეობა

	აღსაზრდელთა რაოდენობა	2010 მათ შორის გოგო 1166, ბიჭი...	1882 მათ შორის გოგო 888, ბიჭი 994	1900 მათ შორის გოგო 900, ბიჭი 1000	1920 მათ შორის გოგო 864, ბიჭი1056	1950 მათ შორის გოგო 975, ბიჭი 975	რაოდენობა	5%	სკოლამდელი აღზრდის ცენტრი	სტატისტიკური	პანდემია, საგანგებო მდგომარეობა
	სრულად რეაბილიტირებული საბავშვო ბაღების წილი საბავშვო ბაღების საერთო რაოდენობაში	45	50	55	60	70	%	5%	სკოლამდელი აღზრდის ცენტრი	სტატისტიკური	არასაკმარისი ფინანსური რესურსი

ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრი 04 01 01

ქვეპროგრამის აღწერა:

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი ემსახურება 44 საბავშვო ბაღს,რომელთა შორის ქალაქ ოზურგეთში განთავსებულია 8 საბავშვო ბაღი ,ხოლო მუნიციპალიტეტის თემებში 36 საბავშვო ბაღი.ბავშვთა რაოდენობა სულ შეადგენს 1882 აღსაზრდელს, რომელთა შორის 745 არის ქალაქის ბაღებში და 1265 სოფლების ბაღებში.აღნიშნული ბავშვთა კონტინგენტიდან 888 არის გოგო და 994 ბიჭი. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 863 თანამშრომელი, მათ შორის 81 მამაკაცი და 782 ქალი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

ქვეპროგრამის მიზანი:

საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო გარემო და უზრუნველყოფილია ბავშვთა ადრეული განვითარება და სასკოლო მზაობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 -სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო გარემო და უზრუნველყოფილია ბავშვთა ადრეული განვითარება და სასკოლო მზაობა	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 3-4 წლის ბავშვების რაოდენობა	608	503 ბავშვი, მათ შორის ბიჭი 52%; გოგო 48%	რაოდენობა	2%	სკოლამდელი აზრდის ცენტრი	სტატისტიკური	პანდემია
	სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 5-6 წლის ბავშვების (სასკოლო)	694	574 ბავშვი, მათ შორის ბიჭი 52%; გოგო 48%	რაოდენობა	2%	სკოლამდელი აზრდის ცენტრი	სტატისტიკური	პანდემია

	რაოდენობა							
	გადამზადებული პედაგოგების რაოდენობა	200	ქალი	რაოდენობა	10%	სკოლამდელი აზრდის ცენტრი	სტატისტიკური	პანდემია

ზოგადი განათლების ხელშეწყობა 04 02

პროგრამის აღწერა:

1.მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო და სამრევლო სკოლებში განხორციელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები და მცირე მოცულობის კაპიტალური ხარჯების გაწევა (კომპიუტერული ტექნიკის შეძენა, საოფისე ინვენტარის შეძენა და სხვა)

2.სკოლის კურსდამთავრებულთა წახალისების მიზნით, ერთჯერადი ფულადი ჯილდო 3 000 (სამი ათასი) ლარი გადაეცემა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო ან სამრევლო სკოლის კურსდამთავრებულს, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების თითოეულ სავალდებულო საგანში მიიღო საგნის ტესტის მაქსიმალური ნედლი ქულის 90% ან მეტი ., ხოლო კურსდამთავრებულის აღმზრდელ სკოლას ერთჯერადად გადაეცემა ფულადი ჯილდო — 1 500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე,დაჯილდოვდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო და სამრევლო სკოლის ოქროს მედალოსანი კურსდამთავრებული, რომელიც ერთჯერადი ჯილდოს სახით მიიღებს 500 ლარს.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია: პირადობის ასლი, კურსდამთავრებულის ანგარიშის ნომერი საჯარო სკოლიდან წარმოდგენილი ცნობა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ეროვნული გამოცდების შედეგად წარმატებული კურსდამთავრებულების მონიტორინგი, ბაზის შექმნა.წარმოსადგენი დოკუმენტაცია: პირადობის ასლი, კურსდამთავრებულის ანგარიშის ნომერი , სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი“-ს მიერ წარმოდგენილი ცნობა.

4.სკოლის კურსდამთავრებულების საზეიმო განწყობის შექმნის მიზნით ღონისძიების ორგანიზება ,ასევე წარმატებულ კურსდამთავრებულთათვის და მათი სკოლებისთვის დაჯილდოების ცერემონიის მოწყობა

5. დაჯილდოვდებიან საჯარო/სამრევლო, სახელოვნებო და სკოლამდელი აღზრდის ღვაწლმოსილი პედაგოგები, რომლებსაც ერთჯერადად გადაეცემა ფულადი ჯილდო 1250 ლარი (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით; ხელზე ასაღები — 1000 ლარი), სამკერდე ნიშანი, მადლობის ბარათი, ყვავილების თაიგული.პედაგოგების კანდიდატურას მერს წარუდგენს განათლების,კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური.

პროგრამის მიზანი:

ზოგადი განათლების ხელშეწყობა მუნიციპალური პროგრამებით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ხელშეწყობილია ზოგადი განათლება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 1 -სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი(წინა წლის მაჩვენებელი)	2027 წელი	2028 წლი	2029 წლი	2030 წლი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ხელშეწყობილია ზოგადი განათლება	წარმატებული კურსდამთავრებულების რაოდენობა	120 (ბიჭი 50; გოგო 70)	140 (ბიჭი 70; გოგო 70)	145	150	160	აბიტურიენტი კურსდამტავრებული	10%	საგანმანათლებლო რესურსცენტრი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.	მოთხოვნის შესაბამისად კურსდამთავრებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.	ეროვნული გამოცდებზე შედეგების გაუმჯობესება/ გაუარესება

	100%-იანი გრანტის მფლობელი სკოლის რაოდენობა	8	10	12	15	18	სკოლა	10%	საგანმანათლებლო რესურსცენტრი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.	მოთხოვნის შესაბამისად კურსდამთავრებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.	ეროვნული გამოცდებზე შედეგების გაუმჯობესება/ გაუარესება
	სკოლების რაოდენობა, სადაც განხორციელდა მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები	20	26	27	30	30	სკოლის შენობა	10%	საგანმანათლებლო რესურსცენტრი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.	მოთხოვნის შესაბამისად კურსდამთავრებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.	ეროვნული გამოცდებზე შედეგების გაუმჯობესება/ გაუარესება

საჯარო და სამრევლო სკოლების ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება, მცირე კაპიტალური ხარჯის გაწევა 04 02 01

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო და სამრევლო სკოლებში განხორციელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები და მცირე მოცულობის კაპიტალური ხარჯების გაწევა (კომპიუტერული ტექნიკის შეძენა, საოფისე ინვენტარის შეძენა და სხვა).

ქვეპროგრამის მიზანი:

ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით, საჯარო და სამრევლო სკოლის მოსწავლეთათვის ადაპტირებული და კომფორტული გარემოს შექმნა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მუნიციპალიტეტის საჯარო და სამრევლო სკოლის მოსწავლეთათვის შექმნილია ადაპტირებული და კომფორტული გარემო ზოგადი განათლების მისაღებად.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 -სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
მუნიციპალიტეტის საჯარო და სამრევლო სკოლის მოსწავლეთათვის შექმნილია ადაპტირებული და კომფორტული გარემო ზოგადი განათლების მისაღებად	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	განსახორციელებელი პროექტების რაოდენობა	20	26	პროექტების რაოდენობა	10%	მუნიციპალიტეტის მერია. საქართველოს მთავრობა. კერძო/არასამთავრობო სექტორი	დაგეგმილ ღონისძიებებზე	ფორს-მაჟორი

წარმატებული კურსდამთავრებულებისა და მათი სკოლების დაჯილდოება 04 02 02

ქვეპროგრამის აღწერა:

1. სკოლის კურსდამთავრებულთა წახალისების მიზნით, ერთჯერადი ფულადი ჯილდო 3 000 (სამი ათასი) ლარი გადაეცემა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო ან სამრევლო სკოლის კურსდამთავრებულს, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების თითოეულ სავალდებულო საგანში მიიღო საგნის ტესტის მაქსიმალური ნედლი ქულის 90% ან მეტი ., ხოლო კურსდამთავრებულის აღმზრდელ სკოლას ერთჯერადად გადაეცემა ფულადი ჯილდო — 1 500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

2. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე,დაჯილდოვდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო და სამრევლო სკოლის ოქროს მედალოსანი კურსდამთავრებული, რომელიც ერთჯერადი ჯილდოს სახით მიიღებს 500 ლარს.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია: პირადობის ასლი, კურსდამთავრებულის ანგარიშის ნომერი საჯარო სკოლიდან წარმოდგენილი ცნობა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ეროვნული გამოცდების შედეგად წარმატებული კურსდამთავრებულების მონიტორინგი, ბაზის შექმნა.წარმოსადგენი დოკუმენტაცია: პირადობის ასლი, კურსდამთავრებულის ანგარიშის ნომერი , სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი“-ს მიერ წარმოდგენილი ცნობა.

3. კურსდამთავრებულების საზეიმო განწყობის შექმნის მიზნით ღონისძიების ,,ბოლო ზარი - 2027'' ორგანიზება ,ასევე წარმატებულ კურსდამთავრებულთათვის და მათი სკოლებისთვის დაჯილდოების ცერემონიის მოწყობა

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო და სამრევლო სკოლების წარმატებული კურსდამთავრებულებისა და მათი სკოლების წახალისება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო და სამრევლო სკოლების წარმატებული კურსდამთავრებულები და მათი სკოლები წახალისებულია ფინანსურად.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), **რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:**

მიზანი 1 -სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებები ფუნქციონირებს გამართულად, უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებითი წრეების თანაბარი ხელმისაწვდომობა	ქალაქ ოზურგეთი და დაბა ურეკი	7	7	წრეების რაოდენობა	0%	მერიის შესაბამისი სამსახური, ა(ა)იპი-ები	შესაბამისი ორგანიზაციები დან მოწოდებული ინფორმაცია	ფორს-მაჟორი
	სახელოვნებო წრეების რაოდებობა	22	22	წრეების რაოდენობა	5%	მერიის შესაბამისი სამსახური, ა(ა)იპი-ები	შესაბამისი ორგანიზაციები დან მოწოდებული ინფორმაცია	ფორს-მაჟორი
	სახელოვნებო წრეების ბენეფიციართა (6-18 წლამდე ბავშვებისა და ახალგაზრდები) საერთო რაოდენობა	ბიჭი-400 გოგო-450	ბიჭი-420 გოგო-500	1	5%	მერიის შესაბამისი სამსახური, ა(ა)იპი-ები	შესაბამისი ორგანიზაციები დან მოწოდებული ინფორმაცია	ფორს-მაჟორი
	ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (მათ შორის ახალი წიგნების წილი)	182000 მათ შორის ახალი წიგნები 2000	185000 მათ შორის ახალი წიგნები 3000	ცალი	5%	მერიის შესაბამისი სამსახური, ა(ა)იპი-ები	შესაბამისი ორგანიზაციები დან მოწოდებული ინფორმაცია	ფორს-მაჟორი
	დადგმული სპექტაკლების რაოდენობა	10	12	სპექტაკლების რაოდენობა	5%	მერიის შესაბამისი სამსახური, ა(ა)იპი-ები	შესაბამისი ორგანიზაციები დან მოწოდებული ინფორმაცია	ფორს-მაჟორი

ახალგაზრდული პროგრამები 05 03

პროგრამის აღწერა:

ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია, ახალგაზრდული ინიციატივებისა და პროექტების მხარდაჭერა და დაფინანსება, სხვადასხვა სახის ინტელექტუალური კონკურსების ჩატარება, განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება. ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი წინადადებების გათვალისწინება. სამთავრობო და არასამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობა. ახალგაზრდებში ლიდერული და სოციალური უნარების განვითარება, ეფექტური კომუნიკაციის უნარის გაძლიერება, დროის მართვისა და პირადი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რაც მათ მომავლის პროფესიულ და საზოგადოებრივ აქტივობებში წარმატებას უზრუნველყოფს.

პროგრამის მიზანი:

ახალგაზრდული ინიციატივების, პროექტებისა და წინადადებების განხორციელების ხელშეწყობა და დაფინანსება და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა; ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ აქტივობებში, მოხალისეობაში, ეკოლოგიურ ან სოციალურ პროექტებში;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მხარდაჭერილია ახალგაზრდული ინიციატივები და უზრუნველყოფილია ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 8 - სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის;

მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი									
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
მხარდაჭერილია ახალგაზრდული ინიციატივები და უზრუნველყოფილია ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხელშეწყობილია ახალგაზრდებში ლიდერული და სოციალური უნარების ჩამოყალიბების პროცესები.	ღონისძიებების/ატივობებისინიციატივების რაოდენობა	10	15	20	25	რაოდენობა	10%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	შეთანხმება/მიღება-ჩაბარების აქტი	ფორს-მაჟორი
	პროგრამის განხორციელებაში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა	75 (ქალი 45%, კაცი 55%)	80 (ქალი 50%, კაცი 50%)	100 (ქალი 55%, კაცი 45%)	120 (ქალი 60%, კაცი 40%)	რაოდენობა	10%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მასალები, დოკუმენტები	ფორს-მაჟორი
	ახალგაზრდული ინიციატივების რაოდენობა	50	70	80	100	რაოდენობა	10%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მასალები, დოკუმენტები	ფორს-მაჟორი

„შემოქმედებითი ოზურგეთი“ 05 03 01

ქვეპროგრამის აღწერა:

ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერის მიზნით,თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ხელშეწყობა – ქუჩის მხატვრობის, ფოტოგრაფიის,

შემოქმედებითი ინსტალაციის, ურბანული და კონცეპტუალური ხელოვნების, ინოვაციურ-

შემოქმედებითი ღონისძიებების ხელშეწყობა; პროგრამა უნდა განხორციელდეს კონკურსის წესით; პროექტის დაფინანსების მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

ქმნის საპროექტო განაცხადის/საკონკურსო განაცხადის (პროექტების) განმხილველ კომისიას

(შემდგომში – კომისია). კომისიების საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიის დებულებით,

რომელსაც ამტკიცებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი. ა) საკონკურსო განაცხადის წარდგენა ხდება, ოზურგეთის მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში,

რომლის მიზანია შემოქმედებითი ინდუსტრიის სხვადასხვა დარგის განვითარების ხელშეწყობა;

შემოქმედებით ინდუსტრიაში მომუშავე სუბიექტების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა, მათი

სხვადასხვა პროგრამებში ჩართვა, შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარებაში კულტურული

მრავალფეროვნების გამოკვეთა, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა

კულტურული თვითგამოხატვის, კულტურის სფეროზე ხელმისაწვდომობისა და ჩართულობის

გაძლიერების გზით; შემოქმედებითი ინდუსტრიის დარგების ხელშეწყობის გზით კულტურული

ტურიზმის განვითარება, ტურისტული პოტენციალის ზრდა; მდგრად განვითარებაზე

ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა;

ბ) საკონკურსო განაცხადის წარდგენა შეუძლია შესაბამის სფეროში მოღვაწე, საქართველოს

კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იურიდიულ პირს ან

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის პროექტი

ორიენტირებული იქნება დარგის მდგრად ან/და გრძელვადიან განვითარებაზე;

გ) საკონკურსო განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს მერიის მიერ განსაზღვრული

განაცხადის ფორმის შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ

ვებგვერდზე გამოცხადებულ კონკურსში;

დ) კონკურსი ცხადდება არანაკლებ წელიწადში ორჯერ;

ე) საკონკურსო განაცხადების მიღების ვადაა კონკურსის გამოცხადებიდან არაუმეტეს 10 (ათი)

კალენდარული დღე; ვ) დაფინანსების მაქსიმალური ოდენობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება თითოეულ პროექტზე ინდივიდუალურად, პროექტის სპეციფიკიდან და მასშტაბურობიდან გამომდინარე. ქვეპროგრამიდან აგრეთვე დაფინანსდება კულტურული ფესტივალები, გასტროლები და ა.შ.

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია შემოქმედებითი ინდუსტრიის სხვადასხვა დარგის განვითარების ხელშეწყობა;

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ხელშეწყობილია ახალგარდების ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელებაში.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 8 - სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის;

მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	**შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი**							
ხელშეწყობილია ახალგაზრდების ჩართულობა შემოქმედებითი ინდუსტრიის დარგების განვითარებაში	**ინდიკატორის დასახელება**	**2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)**	**2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)**	**ზომის ერთეული**	**ცდომილების ალბათობა (%)**	**მონაცემთა წყარო**	**მონაცემთა მოგროვების მეთოდი**	**რისკი**
	პროექტში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა	20 (ქალი 35%,კაცი65%)	30 (ქალი 40%,კაცი 60%)	რაოდენობა	10	ღონისძიების ორგანიზატორები	პირდაპირი აღრიცხვა	ფორსმაჟორი, მეტეოროლოგიური პრობლემები

ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა 05 03 02

ქვეპროგრამის აღწერა:

ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი წინადადებების მხარდაჭერა;

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება (არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით) - სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი იდეების /ინიციატივების მხარდაჭერა;

ლიდერული უნარ-ჩვევების აქტუალიზების, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციისა და მოდერნიზაციის მხარდაჭერის მიზნით ახალგაზრდების წახალისება (არაუმეტეს 500 ლარისა);

ახალგაზრდული ფორუმების, ფესტივალების, ვორკშოფების, ტრენინგების ჩატარება ახალგაზრდული სექტორის და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით;

ახალგაზრდების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება (ა) ცხოვრების ჯანსაღი წესის, ბ).ბულინგის, ოჯახური ძალადობის, გ).პროფესიული განათლების მიღების დ). კარიერის განვითარების სერვისის დანერგვისა და დასაქმების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობით და საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით) და სხვა.

ახალგაზრდობის კულტურულ-შემოქმედებითი და მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერა, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დასუფთავებისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა, ლაშქრობებისა და ექსკურსიების ორგანიზება.

ქვეპროგრამის მიზანი:

ახალგაზრდების ინტელექტუალურ-კულტურული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა, ასევე ახალგაზრდების ჩართულობა ქვეყნის განვითარების პროცესში და მათი ლიდერული უნარ-ჩვევების აქტუალიზების მხარდაჭერა. ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ხელშეწყობილია ახალგაზრდების ინტელექტუალურ-კულტურული განვითარება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 8 - სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის;

მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ხელშეწყობილია ახალგაზრდების ინტელექტუალურ-კულტურული განვითარება. გაზრდილია ახალგაზრდების ჩართულობა ქვეყნის განვითარების პროცესში და მათი ლიდერული უნარ-ჩვევების აქტუალიზება	პროგრამის განხორციელებაში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა	(მათ შორის ქალი 60%, 40%კაცი)	(მათ შორის ქალი60%, 40%კაცი)	ახალგაზრდა	10%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	სტატისტიკური	ფორს-მაჟორი
	ახალგაზრდების მიერ ჩატარებული მოხალისეობრივი ღონისძიებების რაოდენობა	5	10	ღონისძიება	10%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	სტატისტიკური	ფორს-მაჟორი
	ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების რაოდენობა	10	20	ღონისძიება	10%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	სტატისტიკური	ფორს-მაჟორი

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა 05 04

პროგრამის აღწერა:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და შენარჩუნების მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძრისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე XI-XVII -საუკუნეებში აგებული რამდენიმე ტაძარია (აჭის, ლიხაურის, ჯუმათის, შემოქმედის, კონჭკათის), რომელთაც გააჩნიათ უმნიშვნელოვანესი კულტურული-რელიგიური მნიშვნელობა და ისტორია. ეს ტაძრები ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებია. დროდადრო ტაძრები საჭიროებენ რესტავრაციას და რეაბილიტაციას.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა. კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

უზრუნველყოფილია რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურე პროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება	რეაბილიტაციის ღონისძიებების რაოდენობა	5	5	ღონისძიება	2%	ეპარქიის განვითარების ფონდი	სტატისტიკური	პანდემია
	რელიგიური ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულება	1	1	ხელშეკრულება	50%	იურიდიული სამსახური	სტატისტიკური	პანდემია

რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა 05 04 01

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტში რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა განხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის მიზნით.

ქვეპროგრამის მიზანი:

რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ფინანსურად მხარდაჭერილი არიან რელიგიური ორგანიზაციები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურე პროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ფინანსურად მხარდაჭერილი არიან რელიგიური ორგანიზაციები	დაფინანსებული რელიგიური ორგანიზაციების რაოდენობა	1	1	რაოდენობა	0	მერია	ხელშეკრულება	პანდემია

ეკლესია-მონასტრების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები 05 04 02

ქვეპროგრამის მიზანი:

კულტურული მემკვიდრების დაცვა მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებით.

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე XI-XVII საუკუნეებში აგებული რამდენიმე ტაძარია (აჭის, ლიხაურის, ჯუმათის, შემოქმედის, კონჭკათის), რომელთაც გააჩნიათ უმნიშვნელოვანესი კულტურული-რელიგიური მნიშვნელობა და ისტორია. ეს ტაძრები ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მინიმუმ 2 ობიექტის რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ფინანსურად მხარდაჭერილი არიან რელიგიური ორგანიზაციები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურე პროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
ხელშეწყობილია ეკლესია-მონასტრების ტერიტორიაზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	განხორციელებული სამუშაოების რაოდენობა	2	2	რაოდენობა	0%	მერია; რელიგიური ორგანიაციები	მიღება-ჩაბარების აქტები	ფორს-მაჟორი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქების კუთხით მუნიციპალიტეტი ახორციელებს სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი/პროგრამა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
06 00	**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**4,036.0**	**4,112.8**	**4,311.8**	**4,430.7**
06 01	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	1,840.0	1,877.8	1,930.0	1,980.0
06 01 01	ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	380.0	407.8	420.0	440.0
06 01 02	მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება (060102)	420.0	430.0	450.0	460.0
06 01 03	თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება (060103)	70.0	70.0	70.0	70.0
06 01 04	ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება (060104)	450.0	450.0	460.0	470.0
06 01 05	გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება (060105)	400.0	400.0	400.0	400.0
06 01 06	ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება (060106)	120.0	120.0	130.0	140.0
06 02	სოციალური მხარდაჭერის პროგრამა	2,196.0	2,235.0	2,381.8	2,450.7
06 02 01	სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (060201)	20.0	25.0	30.0	35.0
06 02 02	დღის ცენტრის დაფინანსება (060202)	60.0	60.0	65.0	70.0

06 02 03	დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარება (060203)	20.0	25.0	27.0	30.0
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება (060204)	470.0	455.0	465.0	475.0
06 02 05	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა დახმარება (060205)	15.0	15.0	20.0	20.0
06 02 06	სარიტუალო დახმარება (060206)	50.0	50.0	50.0	50.0
06 02 07	ოფიციალური დადგენილი დღეების აღსანიშნავად სოციალური მხარდაჭერა (060207)	75.0	75.0	75.0	80.0
06 02 08	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება (060208)	450.0	450.0	500.0	500.0
06 02 09	მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა (060209)	275.0	285.0	290.0	300.0
06 02 10	სოციალური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების თანადაფინანსება (060210)	35.0	35.0	40.0	45.0
06 02 11	სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება (060211)	40.0	40.0	40.0	40.0
06 02 12	ძალადობის მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსი მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა, 18-წლამდე ასაკის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	150.0	155.0	155.0	160.0
06 02 13	სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსება	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 14	18 წლის და მეტი ასაკის შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის პროგრამა	536.0	565.0	624.8	645.7

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა 06 01

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში არსებული 6 ქვეპროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

გაზრდილია ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2028 წელი	2029 წელი	2030წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
გაზრდილია ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე	ბენეფიციართა საერთო რაოდენობა (ქალი, კაცი)	1055 კაცი-1230 ქალი	1100 კაცი-1350 ქალი	1000 კაცი-1100 ქალი	900 კაცი-950 ქალი	925 კაცი-980 ქალი	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	მონიტორინგი	ფორს-მაჟორი
	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების რაოდენობა	6	6	6	6	6	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	მონიტორინგი	ფორს-მაჟორი

ა(ა)ი.ჰ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი 06 01 01

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დავის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტრატეგიულ ფუნქციები: გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო

გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა. საკვებისა და სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა და მუნიციპალური მმართველობის ორგანოების ინფორმირება სავარაუდო საკვებისმიერი და წყლისმიერი ინფექციების გავრცელების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ; ჯანმრთელობის განმტკიცება ჯანმრთელობის დაცვაში უთანასწორობისა და სოციალურ დეტერმინანტებზე ზემოქმედების განხორციელების გზით; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა.; მოსახლეობის, თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფა, ადეკვატური დაფინანსების მიღწევა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისებსა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზუნველყოფა; ჯანმრთელობის ადვოკატირება, მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, საინფორმაციო განმარტებითი საქმიანობა, სოციალური მობილიზაცია; მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება.

ეპიდემიოლოგიური კონტროლი ადგილობრივ დონეზე, არსებული რეგულაციების მონიტორინგი.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

შედეგი 1: უზრუნველყოფილია გადამდებ დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

შედეგი 2: უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
შუალედური შედეგი	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი

შედეგი 1: უზრუნველყოფილია გადამდებ დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა	ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირება	65	70	%	5%	ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	სტატისტიკური	ფორსმაჟორი
შედეგი 2: უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი	სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი	85	90	%	5%	ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	სტატისტიკური	ფორსმაჟორი

მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება 06 01 02

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლებისათვის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმიური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების, თანაგადახდის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოქალაქეების მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება, კერძოდ:

ა) მოქალაქეებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში“ სარეიტინგო ქულით 0-დან 150001-მდე, მედიკამენტების შესაძენად, გაეწევათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება ფარმაცევტულ დაწესებულებაში თანხის ჩარიცხვით, არაუმეტეს 100 ლარის ოდენობით;

ბ) ვეტერან ქალბატონებს (ომის მონაწილე), მედიკამენტების შესაძენად, გაეწევათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება ფარმაცევტულ დაწესებულებაში თანხის ჩარიცხვით, არაუმეტეს 100 ლარის დენობით.

2). ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 150 001-მდეა, გაეწევათ ერთჯერადი სამედიცინო მომსახურების ხარჯების თანადაფინანსება, კერძოდ:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირებს და შშმ ბავშვებს (18 წლამდე) თუ ასანაზღაურებელი თანხა არ აღემატება 200 ლარს, დაფინანება მოხდება სრულად.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარის მიერ ასანაზღაურებელი თანხა აღემატება 200 ლარს, მაშინ დაფინანსება მოხდება საყოველთაო ჯანდაცვის (სადაზღვევო კომპანია) თანაგადახდის ფარგლებში არსებული ტარიფით განსაზღვრული სახელმწიფოს (სადაზღვევო კომპანიის) მიერ ასანაზღაურებელი თანხის 70%-ის, მაგრამ არაუმეტეს 700 ლარისა. დაფინანსების ქვედა ზღვარია 200 ლარი; გ) იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურება უნდა განხორციელდეს სასწარაფო-დაუყოვნებელი ან/და სასწრაფო დაყოვნებული ინტერვენციით, თანაგადახდა განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 80%, არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა;

დ) იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს თანაგადახდა (საყოველთაო ჯანდაცვა, კერძო კომპანია), ანუ თუ მკურნალობის ხარჯები მთლიანად პაციენტის დასაფარია, ასეთ შემთხვევაში დაფინანსება მოხდება წარმოდგენილი თანხის 70%, მაგრამ არაუმეტეს 700 ლარისა, დაფინანსების ქვედა ზღვარია 200 ლარი.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში 2027 წლამდე რეგისტრირებული გაფანტული სკლეროზის დიაგნოზის მქონე მოქალაქეებისათვის, მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსება. ბენეფიციარებს პროგრამის ფარგლებში დაუფინანსდებათ მედიკამენტებისა და კვლევების ღირებულების წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე 100%,-ით; დაფინანსება განხორციელდება ერთ ბენეფიციარზე წლის განმავლობაში არაუმეტეს 5000 ლარისა.

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში 2027 წლამდე რეგისტრირებული ინსულინ დამოკიდებული (0-დან 18 წლამდე) შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზის მქონე ბავშვების, დახმარება. ბენეფიციარებს პროგრამის ფარგლებში გაეწევათ ფინანსური დახმარება ერთ ბენეფიციარზე წლის განმავლობაში არაუმეტეს 1500 ლარისა.

5.იშვიათი დაავადებების (მემკვიდრეობითი ანგიოედემა და სხვა) სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება, რომელთა საჭიროება დასტურდება ექიმის დანიშნულების (ფორმა N100) საფუძველზე, ასევე აღნიშნული პრეპარატები არ მოიპოვება საქართველოს სააფთიაქო ქსელში. ფინანსური დახმარება განხორციელდება ბენეფიციარის პირად საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით;

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობა უზრუნველყოფილია სამედიცინო სერვისების თანადაფინანსებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობა უზრუნველყოფილია სამედიცინო სერვისების თანადაფინანსებით	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	ბენეფიციართა რაოდენობა	1320 (მათ შორის, ქალი 700, კაცი 620)	1400 (მათ შორის, ქალი 750 კაცი 650)	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისები განყოფილება	მოქალაქეთა განცხადებების მიხედვით	სერვისების არსებობაზე ინფორმაციის ნაკლებობა

თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება 06 01 03

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა მხარდაჭერა

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირებს, რომლებიც ჩართული არიან დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საჭიროებენ დიალიზის კურსის ჩატარებას, უფლება აქვთ ისარგებლონ კვარტალში ერთხელ ფულადი დახმარებით 300 ლარის ოდენობით, ხოლო სოფლად მცხოვრები

ბენეფიციარებისათვის 350 ლარის ოდენობით ტრანსპორტირებისათვის. ხოლო პერიტონიალურ შემთხვევაში ტრანსპორტირებისათვის ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით. დიალიზის პროგრამა ხორციელდება ქ. ოზურგეთში, ხოლო პერიტონიალურ შემთხვევაში ადგილზე არ ხდება ბენეფიციარის მომსახურება და უწევთ სხვა ქალაქში ტრანსპორტირება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ხელშეწყობილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა სამედიცინო მომსახურების მიღება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
ხელშეწყობილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა სამედიცინო მომსახურების მიღება	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	ბენეფიციართა რაოდენობა	50 (მათ შორის, ქალი 20, კაცი 30)	50 (მათ შორის, ქალი 25, კაცი 25)	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	მონიტორინგი	მანძილი და გადაადგილების პროგრამა

ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება 06 01 04

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ონკოლოგიური დაავადების მქონე პირებისათვის დამატებით სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, ონკოლოგიური დაავადების მქონე პირებისათვის, საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, სამედიცინო დაწესებულებებში, სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება. პროგრამა გულისხმობს ბენეფიციარებისათვის მკურნალობის ხარჯების თანაგადახდას, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინები. კერძოდ:

ა) იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ან/და სხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ ასანაზღაურებელი თანხის 50% არ აღემატება 400 ლარს, ანაზღაურება მოხდება მოთხოვნილი თანხის სრული ოდენობით.

ბ) იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ან/და სხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ ასანაზღაურებელი თანხის 50% მეტია 400 ლარზე, დაფინანსება მოხდება საყოველთაო ჯანდაცვის (სადაზღვევო კომპანია) ფარგლებში არსებული ტარიფით განსაზღვრული სახელმწიფოს (სადაზღვევო კომპანია) მიერ ასანაზღაურებელი თანხის 50%-ის, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა. დაფინანსების ქვედა ზღვარია 400 ლარი. ხოლო, ყოველ შემდეგ შემთხვევაზე, იმავე მოქალაქის (სამედიცინო მომსახურება, გამოკვლევები) დაფინანსება მოხდება ანალოგიურად, მხოლოდ დაფინანსების ზედა ზღვარი იქნება 600 ლარი, ხოლო ქვედა ზღვარი 400 ლარი.

გ) იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს თანაგადახდა, ანუ, თუ მკურნალობის ხარჯები მთლიანად პაციენტის დასაფარია, პირველ ჯერზე დაფინანსება მოხდება წარმოდგენილი თანხის ნახევრის, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა, დაფინანსების ქვედა ზღვარია 400 ლარი, ხოლო ყოველ შემდეგ შემთხვევაზე იგივე მოქალაქის დაფინანსება მოხდება ანალოგიურად, ოღონდ ასანაზღაურებელი თანხის ზედა ზღვარი იქნება 600 ლარი, ხოლო ქვედა ზღვარი 400 ლარი.

დ) ონკოლოგიური დაავადების(ავთვისებიანი სიმსივნე) სამკურნალოდ (მედიკამენტები და სხვა დანიშნულების საგნები), ბენეფიციარები ექიმის დანიშნულებით, წელიწადში ერთხელ, მოთხოვნის შესაბამისად, მიიღებენ დახმარებას უნაღდო ანგარიშსწორებით, ფარმაცევტულ დაწესებულებებში, ინვოისით წარმოდგენილი თანხის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 300 ლარისა.

ე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2027 წლამდე რეგისტრირებული (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა) ავთვისებიანი სიმსივნის და სხვა მძიმე დიაგნოზის მქონე პირთათვის, ონკოლოგიური დანიშნულების ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსება, რომელთა ღირებულება

აღემატება 500 ლარს, წლის განმავლობაში განისაზღვროს არაუმეტეს 5000 ლარით;
ვ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, 2027 წლამდე რეგისტრირებული (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა) ბენეფიციარებს, საჭიროებიდან გამომდინარე, ექიმის დანიშნულებით, წელიწადში ერთხელ, მოთხოვნის შესაბამისად, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად სრულად დაუფინანსდებათ იმუნოჰისტოქიმიური და ჰისტომორფოლოგიური (ბიოფსია) კვლევა, არაუმეტეს 600 ლარისა.
ზ) ონკოლოგიური (ავთვისებიანი სიმსივნე) დიაგნოზის მქონე 20 პირისათვის (პაციენტისათვის), ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამის დაფინანსება (სულ 20 ვიზიტი); წლის განმავლობაში, ერთ ბენეფიციარზე არაუმეტეს 1600 ლარისა;
2) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2027 წლამდე რეგისტრირებული, კეთილთვისებიანი სიმსივნით, ან/და დაუდგენელი დიაგნოზის მქონე პირებისათვის (სამედიცინო მომსახურება, გამოკვლევები) საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, სამედიცინო დაწესებულებებში, სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება. პროგრამა გულისხმობს ერთჯერადად, ბენეფიციარებისათვის მკურნალობის ხარჯების თანაგადახდას, შემდეგი კრიტერიუმის გათვალისწინებით. კერძოდ:
ა) ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება განხორციელდება, მის მიერ ასანაზღაურებელი თანხის 70%, მაგრამ არაუმეტეს 700 ლარისა. ხოლო, დაფინანსების ქვედა ზღვარი შეადგენს 300 ლარს;
3) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2027 წლამდე რეგისტრირებული (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა) ონკოლოგიური დაავადების მქონე პირებისათვის, ექიმის დანიშნულებით, წელიწადში ერთხელ, მოთხოვნის შესაბამისად, PET/CT- პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფიის თანადაფინანსება, რომელიც განისაზღვრება ბენეფიციარის ასანაზღაურებელი თანხის 80%- ის, მაგრამ არაუმეტეს 2700 ლარისა;

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია ლეიკემიისა და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო სერვისების თანადაფინანსება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

ონკოლოგიური პაციენტების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა	**ინდიკატორის დასახელება**	**2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)**	**2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)**	**ზომის ერთეული**	**ცდომილების ალბათობა (%)**	**მონაცემთა წყარო**	**მონაცემთა მოგროვების მეთოდი**	**რისკი**
	ბენეფიციართა რაოდენობა	700 (მათ შორის, ქალი - 400, კაცი 300)	740 (მათ შორის, ქალი 440, კაცი 300)	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	მოქალაქეთა განცხადებების მიხედვით	შესაბამის ექიმ სპეციალისტის მიერ გაცემული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა

გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება 06 01 05

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქეებისთვის გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება.

ქვეპროგრამის აღწერა:

1) გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური (სასწრაფო დაუყოვნებელი ან/და სასწრაფო დაყოვნებული ინტერვენცია) სამედიცინო მომსახურებისას, ერთჯერადი ფინანსური დახმარების მოცულობა განისაზღვროს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით, კერძოდ:
ა) ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება განისაზღვროს მოქალაქის მიერ ასანაზღაურებელი თანხის 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს 700 ლარისა. ამასთან, დაფინანსების ქვედა ზღვარი შეადგენს 150 ლარს;
ბ) გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებისათვის საჭირო იმ ტრანსპორტირებისას, რომლის ხარჯიც ანაზღაურებულია უშუალოდ მოქალაქის მიერ, მოქალაქეს/ოჯახს ფინანსური დახმარება გაეწევა ასანაზღაურებელი თანხის 100%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 700 ლარისა;
2) პაციენტთა საზღვარგარეთ მკურნალობა დაფინანსდება იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარისათვის

აუცილებელი სამედიცინო მომსახურების გაწევა ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, რაც დასტურდება სათანადო დოკუმენტაციით:

ა) აღნიშნული მომსახურებით სარგებლობის უფლება აქვთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებს (რომელთა ერთ-ერთი მშობელი ასევე რეგისტრირებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში). პროგრამის ფარგლებში მათ დაუფინანსდებათ სამედიცინო მომსახურების ღირებულების (წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით) 80%, მაგრამ არაუმეტეს 5000 ლარისა;

ბ) დაფინანსება გაიცემა წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე, რაც უნდა მოიცავდეს დასკვნას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100) ან სრულ დიაგნოზს (ძირითადი დაავადება, თანმხლები დაავადებები, გართულებები), ინფორმაციას გადატანილი დაავადებების, ანამნეზის, ჩატარებული დიაგნოსტიკური გამოკვლევებისა და კონსულტაციების, ასევე ავადმყოფობის მიმდინარეობის შესახებ;

გ) დაფინანსების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი სამუშაო ჯგუფი (კომისია).

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქეები საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი არიან გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი

ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქეები საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი არიან გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებით	ბენეფიციართა რაოდენობა	600 (მათ შორის ქალი 290, კაცი 310)	625(მათ შორის ქალი 300, კაცი 325)	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობისდაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	მონიტორინგი	არასწორი სამედიცინო დასკვნა

ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება 06 01 06

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირთა ძვირადღირებულ კვლევების თანადაფინანსება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ძვირადღირებული კვლევის ერთჯერადი დაფინანსება რაც ითვალისწინებს:
1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 0-დან 150 001-მდეა, ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანებსა და შშმ სტატუსის მქონე პირებს და შშმ ბავშვებს, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ საშუალება მიიღონ თანადაფინანსება ინვოისით წარმოდგენილი თანხის 90 % არაუმეტეს 300 ლარის ფარგლებში ძვირადღირებულ კვლევაზე (კომპიუტერული ტომოგრაფია და ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია).

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 0-დან 150 001-მდეა, ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანებს და შშმ სტატუსის მქონე პირებს და შშმ ბავშვებს, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ საშუალება მიიღონ თანადაფინანსება ინვოისით წარმოდგენილი თანხის 90 % არაუმეტეს 400 ლარის ფარგლებში ძვირადღირებულ კვლევაზე (მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია).
3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 0-დან 150 001-მდეა, ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანებს და შშმ სტატუსის მქონე პირებს და შშმ ბავშვებს, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ საშუალება მიიღონ თანადაფინანსება ინვოისით წარმოდგენილი თანხის 70 % არაუმეტეს 700 ლარის ფარგლებში ძვირადღირებულ კვლევაზე (კორონაროგრაფია, ანგიოგრაფია და სხვა).

4. ბენეფიციარების კვლევების დაფინანსების ქვედა ზღვარი განისაზღვროს 100 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ხელმისაწვდომია ბენეფიციარებისთვის ძვირადღირებული კვლევების ჩატარება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქეები საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი არიან ძვირადღირებულინ კვლევების თანადაფინანსებით	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	ბენეფიციართა რაოდენობა	300 (მათ შორის ქალი 170, კაცი 130)	320(მათ შორის ქალი 170, კაცი 150)	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	მონიტორინგი	დოკუმენტაციის მოუწესრიგებლობა

სოციალური მხარდაჭერის პროგრამა 06 02

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში არსებული 13 ქვეპროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მძიმე სოციალური მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების დახმარება. ქვეპროგრამების დაგეგმისა და განხორციელების დროს გათვალისწინებულია ქალისა და მამაკაცის განსხვავებული საჭიროებები, მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ხელშეწყობა და სხვა სოციალური ღონისძიებების განხორციელება.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებითა და სოციალური სერვისებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა;

მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის;

მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

	ინდიკატორის დასახელება	20265 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებითა და სოციალური სერვისებით	სოციალური პროგრამები და სერვისები	13	13	13	13	13	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	მონიტორინგი	სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება
	სოციალური პროგრამების ბენეფიციართა საერთო რაოდენობა (მათ შორის, ქალების და კაცების წილი)	2570 (მათ შორის ქალი 1250 -, კაცი 1320)	2450 (მათ შორის ქალი 1200 - კაცი 1250)	2620(მათ შორის ქალი 1300-, კაცი1320)	2605(მათ შორის ქალი 1280, კაცი 1325)	2500 (მათ შორის ქალი 1220 - კაცი 1280)	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	მონიტორინგი	სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება 06 02 01

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2027 წლის 1 იანვრისთვის რეგისტრირებულ მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 120 000-დან და 150 001-მდე, ყოველთვიურად დახმარება გაეწევა თითოეულ ბავშვზე 25 ლარის ოდენობით წერილობითი მომართვიანობის საფუძველზე. ოთხშვილიან ოჯახს ერთ-ერთი შვილის 18 წლის ასაკის შესრულებისას ეხსნება დახმარება და ხდება ჩანაცვლება მომლოდინეთა სიიდან. ყოველწლიურად მრავალშვილიანი ოჯახებისთვის დახმარებების გაცემა ხდება ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში. დახმარება გაიცემა განცხადების შეტანის რიგითობის მიხედვით. სახელმწიფო სოციალური პროგრამით უზრუნველყოფილი არიან სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები ფინანსური მხარდაჭერით. თუმცა, ეს პროგრამა ვრცელდება მხოლოდ 0-დან 120000 სარეიტინგო ქულამდე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტში

შექმნილი მძიმე სოციალური ფონის გათვალისწინებით მოსახლეობის მომართვიანობის საფუძველზე.

ქვეპროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები უზრუნველყოფილი არიან საბაზისო ფინანსური დახმარებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები უზრუნველყოფილი არიან საბაზისო ფინანსური დახმარებით	სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობა	10	16	ოჯახი	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	მრავალშვილიანი ოჯახების განცხადებების სისტემატიზაცია და ანალიზი	მრავალშვილიანი ოჯახი, რომლის წევრიც 2025 წელს სრულწლოვანი გახდება, დახმარებას აღარ მიიღებს, ხოლო თუ იმ დროისთვის 4-შვილიანი ოჯახი სხვა არ იქნება, შემცირდება ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა

დღის ცენტრის დაფინანსება 06 02 02

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 6-დან 18 წლამდე ბავშვების თანადაფინანსება, რომლებიც სარგებლობენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მომავლის სხივის“ დღის ცენტრის მომსახურებით.

1.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მომავლის სხივის“ დაფინანსება ყოველთვიურად ერთ ბენეფიციარზე არაუმეტეს 225 ლარისა, პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ ერთ ბენეფიციარზე გათვლილი გაწეული მომსახურების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.
2.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მომავლის სხივის“-ს ადმინისტრირებაში მყოფი "ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლი"-ს ბენეფიციართათვის საკურორტო სეზონზე, მინიმუმ 12 დღით დასვენების თანადაფინანსება.

ქვეპროგრამის მიზანი:

დღის ცენტრის ბენეფიციარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მათ სოციალურ რეაბილიტაციაზე ზრუნვა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირების ცხოვრების გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მიზნით დახმარება

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

დღის ცენტრის ბენეფიციარებისთვის შექმნილია მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობები.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:
მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

დღის ცენტრის ბენეფიციარებისთვის შექმნილია მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობები	**ინდიკატორის დასახელება**	**2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)**	**2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)**	**ზომის ერთეული**	**ცდომილების ალბათობა (%)**	**მონაცემთა წყარო**	**მონაცემთა მოგროვების მეთოდი**	**რისკი**
	ბენეფიციარების რაოდენობა	25 (მათ შორის, ქალი 13 კაცი 12)	18 (მათ შორის, ქალი 10 კაცი 8)	რაოდენობა	10	სოციალური სერვისების სააგენტო	მონიტორინგი	პროფესიონალი კადრები და ორგანიზაციის სწორი მენეჯმენტი.

დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარება 06 02 03

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა გულისხმობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარებას. ბენეფიციარებისათვის წელიწადში 4-ჯერ (კვარტალში ერთხელ) მატერიალურ დახმარებას, თითოეულ ჯერზე 500 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების ფინანსური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვები უზრუნველყოფილი არიან ერთჯერადი ფინანსური დახმარებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვები უზრუნველყოფილი არიან ფინანსური დახმარებით	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	ბენეფიციართა რაოდენობა	3	10	რაოდენობა	5%	სოციალური სააგენტო	მონიტორინგი	სრულყოფილი დოკუმენტაციის მოწოდება

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება 06 02 04

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარება

ქვეპროგრამის აღწერა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბევშვებისათვის ადრეული განვითარებისა და დღის ცენტრის მომსახურების პროგრამებში (ან სხვა სარეაბილიტაციო პროგრამებში (0-18 მდე) ჩართული ბენეფიციარებისთვის სერვისის მისაღებად ტრანსპორტირების ხარჯების (სრული ან ნაწილობრივი) ანაზღაურება;

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (0-18 წლამდე) ბენეფიციარების სამედიცინო სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება;

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების პირებისათვის სპეციალური ინვენტარის ან დამხმარე საშუალებების შეძენა;

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი (I და II ჯგუფი, მხოლოდ მხედველობით შშმ პირები 18 წლის ზემოთ), უფლება აქვთ ისარგებლონ წლის განმავლობაში ერთჯერადად ფულადი დახმარებით 250 ლარის ოდენობით.

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს (0-დან-18 წლამდე, მხედვედველობით და III ;IV ხარისხის სმენადაქვეითებული), უფლება აქვთ ისარგებლონ წლის განმავლობაში ერთჯერადად ფინანსური დახმარებით არაუმეტესე 1000 ლარის ოდენობით.

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ მკვეთრად გამოხატული (I ჯგუფი) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი (გარდა მხედველობით შშმ პირებისა და მხედველობით შშმ ბავშვებისა), ასევე შშმ ბავშვებს, უფლება აქვთ ისარგებლონ წლის განმავლობაში ერთჯერადად ფინანსური დახმარებით, 150 ლარის ოდენობით.

7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირების ცხოვრების გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მიზნით დახმარების ქვეპროგრამა, კერძოდ:

ა) შშმ პირებს, რომელთა ასაკი 6-დან 18 წლამდეა და რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 0-დან 150 001 მდეა, შესაძლებლობა მიეცემათ (საჭიროების შემთხვევაში) ჰიგიენური საშუალების (პამპერსი, ყოველთვიურად არაუმეტეს 100 ლარისა) შეძენა უნაღდო ანგარიშსწორებით ფარმაცევტულ დაწესებულებებში ჩარიცხვით. ასევე 18 წელს ზემოთ I ჯგუფის მკვეთრად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირებს, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 150 001-მდეა, შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ დახმარება ჰიგიენური საშუალების (პამპერსის) შესაძენად, წლის განმავლობაში არაუმეტეს 800 ლარისა, უნაღდო ანგარიშსწორებით ფარმაცევტულ დაწესებულებაში ჩარიცხვით.

8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2027 წლამდე რეგისტრირებული, აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე 2 დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ჩართვა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამაში.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან ფინანსური დახმარებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები უზრუნველყოფი	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი

ლი არიან ფინანსური დახმარებით	ბენეფიციართა რაოდენობა	425 (მათ შორის ქალი 200, კაცი 225)	475 (მათ შორის ქალი 225, კაცი 250)	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	მონიტორინგი	მომართვიანობის სიმცირე, პროგრამაზე ინფორმაციის ნაკლებობა
	ასოციაცია „გურია“ "ოდა ქეარი"; "ლაზიკა მედი" "ადაპტი ცენტრი" "ბავშვთა რეაბილიტაცია აბილიტაციის ცენტრი" ბენეფიციარების რაოდენობა	110 (მათ შორის ქალი 51, კაცი 59)	110 (მათ შორის ქალი 50 კაცი 60)	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	მონიტორინგი	მომართვიანობის სიმცირე, პროგრამაზე ინფორმაციის ნაკლებობა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა დახმარება 06 02 05

ქვეპროგრამის აღწერა:

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, ზამთრის სეზონთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროებით რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრები, იძულებით გადაადგილებული ოჯახების სათბობით უზრუნველყოფის მიზნით დახმარების გაწევას 200 ლარის ოდენობით.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროებით რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრებ, იძულებით გადაადგილებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, სარიტუალო ხარჯებისათვის, გარდაცვლილის ოჯახის ფინანსურ დახმარებას 250 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის მიზანი:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა დახმარება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირები უზრუნველყოფილი არიან ფინანსური დახმარებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირები უზრუნველყოფილი არიან ფინანსური დახმარებით	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	ბენეფიციართა რაოდენობა	სულ 65, მათ შორის 35 ქალი-30 კაცი	სულ 70, მათ შორის 37 ქალი-33 კაცი	რაოდენობა	5%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	მონიტორინგი	მისამართის ცვლილება

სარიტუალო დახმარება 06 02 06

ქვეპროგრამის აღწერა:

1. „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, სამამულო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების მონაწილე პირის გარდაცვალების შემთხვევაში დაკრძალვის ხარჯებისათვის, გარდაცლვლილის ოჯახის ფინანსურ დახმარებას 500 ლარის ოდენობით.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ გარდაცვლილის ოჯახის სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 130 001-მდეა, გარდაცვლილის ოჯახს უფლება აქვს სარიტუალო ხარჯების გასაწევად მიიღოს ერთჯერადი დახმარება 250 ლარის ოდენობით, (იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა როცა გარდაცვლილის ოჯახს სარეიტინგო ქულა ახალი შეჩერებული აქვს).

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უჭირისუფლო (უპატრონო) მიცვალებულის, რომელიც იდენტიფიცირებულია, მაგრამ შეუძლებელია გარდაცვლილის ნათესავის, კანონიერი წარმომადგენლის ან მემკვიდრეობის მიღებაზე უფლებამოსილი სხვა პირის დადგენა, სარიტუალო ხარჯების ანაზღაურება ხდება არაუმეტეს 500 ლარისა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში.

ქვეპროგრამის მიზანი:

სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეების გარდაცვალების შემთხვევაში სარიტუალო მომსახურების თანადაფინანსება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეების გარდაცვალების შემთხვევაში უზრუნველყოფილი მათი სარიტუალო მომსახურების დაფინანსება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეების გარდაცვალების შემთხვევაში უზრუნველყოფილი მათი სარიტუალო მომსახურების დაფინანსება	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	სარიტუალო მომსახურების თანადაფინანსების მიმღებთა რაოდენობა	200 (110 ქალი-90 კაცი)	200 (100 ქალი-100 კაცი)	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	ინფორმაციის სიმცირე და დოკუმენტაციის დროული მოწოდება

ოფიციალურად დადგენილი დღეების აღსანიშნავად სოციალური მხარდაჭერა 06 02 07

ქვეპროგრამის აღწერა:

საქართველოში ოფიციალურად დადგენილი დღეების (3-8 მარტი, 9 აპრილი, 9 მაისი, 8 აგვისტო, 27 სექტემბერი, 3 დეკემბერი)ასევე, 2004 წლის 16 აგვისტო, საქართველოს ეროვნული გმირის ზაზა დამენიას გარდაცვალების დღე - სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენელთა მხარდაჭერა. 2. 100 წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის მიზანი:

1.საქართველოში ოფიციალურად დადგენილი დღეების (1 იანვარს და 3 მარტს, ოზურგეთში ახალშობილ ბავშვთა ოჯახების დახმარება; 3-8 მარტი; 9 აპრილი; 9 მაისი; 8 აგვისტო; 27 სექტემბერი; 3 დეკემბერი) ასევე, 2004 წლის 16 აგვისტო, საქართველოს ეროვნული გმირის ზაზა დამენიას გარდაცვალების დღე - სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენელთა მატერიალური მხარდაჭერა. 2. 100 წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ოფიციალურად დადგენილი დღეების აღსანიშნავად მხარდაჭერილი არიან სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
ოფიციალურად დადგენილი დღეების აღსანიშნავად მხარდაჭერილი არიან სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	დახმარების მიმღებ პირთა რაოდენობა	500 (მათ შორის ქალი 280 კაცი 220)	500 (მათ შორის ქალი 260, კაცი 240)	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	პირდაპირი მომართვიანობა	არასრულყოფილი ბაზა და დოკუმენტაციის დროული მოწოდება

მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება 06 02 08

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ ოჯახებს, ეძლევათ საშუალება მიიღონ დახმარება, კერძოდ:
1. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ ოჯახებს (რომელთა მოქმედი სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 120 001-მდეა), საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად ეძლევათ საშუალება მიიღონ ფინანსური დახმარება:
ა) თავშესაფრის გარეშე დარჩენილ, ძალადობის მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მქონე,

ან/და უსახლკარო ოჯახებს, ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ დახმარება საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაში (სოციალური საცხოვრისი, საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფა (ნაწილობრივ, არაუმეტეს 200 ლარისა), ასევე საცხოვრებელი სახლის ნაწილობრივი ან სრული შეძენა;

ბ). გაწეული დახმარების ოდენობა ვარიაბელურია, მაგრამ ერთეულ შემთხვევაზე, არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს. გასაცემი თანხის ოდენობას განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფი; პრიორიტეტულია: შშმ პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა ან/და ძალადობის მსხვერპლი ან დაზარალებული სტატუსის მქონე პირები; ხოლო, ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახთა დასახმარებლად, მოქმედი სოციალური სარეიტინგო ქულა არ არის განმსაზღვრელი.

გ) ფინანსურ დახმარებაზე მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას, თუ ის, ან მისი ოჯახის წევრი ფლობს ალტერნატიულ საცხოვრებელ ფართს.

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ ოჯახების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახები სრულად ან ნაწილობრივ არიან უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ბინის ქირით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახები სრულად ან	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი

ნაწილობრივ არიან უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ბინის ქირით და მატერიალური დახმარება	დახმარების მიმღები ოჯახთა რაოდენობა	58	95	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	მონიტორინგი	სამართლებრივად გაუმართავი დოკუმენტაცია და არასწორი ინფორმაციის მოწოდება

მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა 06 02 09

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეჭირვებული მოსახლეობის, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 70 001 -მდეა (გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტიგო ქულა 0-დან 1200001 მდეა, შშმ პირები, მრავალშვილიანი ოჯახები (3 და მეტი) და მარტოხელება ხანდაზმულები) დახმარების მიზნით ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა 180 ბენეფიციარზე.

ქვეპროგრამის მიზანი:

მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მზრუნველობამოკლებული მოქალაქეები ყოველდღიურად არიან უზრუნველყოფილი ერთჯერადი კვებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

მზრუნველობამოკლებული მოქალაქეები ყოველდღიურად არიან უზრუნველყოფილი ერთჯერადი კვებით	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	ბენეფიციართა რაოდენობა	180 (მათ შორის ქალი 95, კაცი 85)	180 (მათ შორის ქალი 95, კაცი 85)	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	მონიტორინგი	არასწორი ფაქიური მისამართი და გამოუცხადებლობა

სოციალური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების თანადაფინანსება 06 02 10

ქვეპროგრამის აღწერა:

1. ხანდაზმულთა სახლში მცხოვრები ბენეფიციართა, კომუნალური ხარჯების გადახდა.

ხანდაზმულთა სახლში მყოფი ბენეფიციარების მომსახურების სუბსიდირებას, ხანდაზმულთა სახლის კომუნალური (ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია) გადასახადების დაფინანსებით უზრუნველყოფის სახით.

კომუნალური მომსახურების (ბუნებრივი აირის, ელექტროენერგია) ხარჯების თანაგადახდის ანაზღაურება მოხდება ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

2. ქვეპროგრამიდან დაფინანსდება შინმოვლის პროგრამით გათვალისწინებული ხარჯები, რომელსაც ემსახურება ორგანიზაცია ,,კარიტასი''. პროგრამაში ჩართული ბენეფიციარები, რომელთაც ბინაზე მისვლით ემსახურება ორგანიზაცია ,,კარიტასი"-ს წარმომადგენლები. პროგრამის ფარგლებში ხდება მათი უზრუნველყოფა სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით და ბინაზე მოვლის მომსახურებით.

ქვეპროგრამის მიზანი:

ხანდაზმულთა სახლის კომუნალური სერვისების გადასახადების დაფინანსების უზრუნველყოფა და შინმოვლის პროგრამის თანადაფინანსება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია ხანდაზმულთა სახლის კომუნალური სერვისების მიწოდება და ხელშეწყობილია შინმოვლის კომპონენტი.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
უზრუნველყოფილია ხანდაზმულთა სახლის კომუნალური სერვისების მიწოდება და ხელშეწყობილია შინმოვლის პროგრამა	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	კომუნალური სერვისით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები	23 (მათ შორის ქალი 14, კაცი 9)	23 (მათ შორის ქალი 14, კაცი 9)	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისები განყოფილება	მონიტორინგი	ფაქტიური ხარჯი
	შინმოვლის პროგრამის ბენეფიციარები	35 (მათ შორის ქალი 20 კაცი 15)	35 (მათ შორის ქალი 20-კაცი 15)	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისები განყოფილება	პირდაპირი მომართვიანობა	მომართვიანობის სიმცირე, მისამართის ცვლილება

სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება 06 02 11

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ოჯახებში, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 70 001-მდეა, ბავშვის დაბადების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი გამოუყოფს

1200 ლარს (ყოველთვიურად 100 ლარი) 1 წლის განმავლობაში ბავშვის მოვლის საჭირო სხვადასხვა საშუალებების შესაძენად. მოსარგებლეს ეძლევა შესაძლებლობა აღნიშნული საქონელი გაიტანოს ფარმაცევტული დაწესებულებიდან.

შენიშვნა: დახმარების გაწევა დაიწყება საბუთების წარმოდგენის თვიდან და გაგრძელდება მანამ, სანამ ბავშვის ასაკი მიაღწევს 1 წელს.

შენიშვნა: დახმარების გაწევა დაიწყება საბუთების წარმოდგენის თვიდან და გაგრძელდება მანამ, სანამ ბავშვის ასაკი მიაღწევს 1 წელს.

ქვეპროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი ოჯახების ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისთვის ფინანსური დახმარება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

სოციალურად დაუცველი ოჯახები უზრუნველყოფილი არიან ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო ფინანსური დახმარებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
სოციალურად დაუცველი ოჯახები უზრუნველყოფილი არიან ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო ფინანსური დახმარებით	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	დახმარების მიმღებ პირთა რაოდენობა	32	33	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	პირდაპირი მომართვიანობა	ინფორმაციის სიმცირე და დოკუმენტაციის არადროული მოწოდება

ძალადობის მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსი მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა, 18-წლამდე ასაკის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა 06 02 12

ქვეპროგრამის აღწერა:

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირთა მიმართ, ძალადობის მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მქონე პირთა დახმარების პროგრამა.
ა) ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლის ან დაზარალებულ სტატუსის მქონე პირებს გაეწიოთ ერთჯერადი დახმარება ფულადი სახით 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული, სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი 0-18 წლამდე ასაკის ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახების მხარდაჭერა, მათი გაძლიერების მიზნით.
3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ I-IV კლასის მოსწავლეებს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენს 0-დან 70001-მდე, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 100 ლარის სასკოლო ნივთების შეძენა (სასკოლო ჩანთა, პენალი, რვეულები, სახატავი რვეული, კალამი, ფერადი ფანქრები, წებო, ფერადი ფურცლები, მაკრატელი, სახაზავი, საღებავი, გუაში, ფუნჯი და სხვა).

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით მათი ოჯახებისა და ძალადობის მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მქონე პირების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ძალადობის მსხვერპლის სტატუსი მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან ერთჯერადი ფინანსური დახმარებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;
მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
ძალადობის მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან ერთჯერადი ფინანსური დახმარებით	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	დახმარების მიმღებ პირთა რაოდენობა	10 (მათ შორის ქალი 100 %)	20-(მათ შორის ქალი 95 %, მამაკაცი 5%)	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	პირდაპირი მომართვიანობა და მოწოდებული ინფორმაციები შესაბამისი უჯყებებიდან	სამართლებრივად გამართული დოკუმენტაციის დროული წარმოდგენა
სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი 0-18 წლამდე ასაკის ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახები ფინანსურად მხარდაჭერილი არიან	დახმარების მიმღებ პირთა რაოდენობა	50 ოჯახი (185 არასრულწლოვანი)	60 ოჯახი (210 არასრულწლოვანი	რაოდენობა	10%	ბავშვზე ზრუნვის განყოფილება	ბენეფიციარის მიერ დაწერილი განცხადება ან/და სხვა გზით მოძიებული ინფორმაცია.	არასაკმარისი რესურსი. რესურსი მივმართოთ ოჯახების წინაშე არსებული პრობლემების ნაწილობრივ მაინც მოგვარების კენ
სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვები უზრუნველყოფილი არიან სასკოლო ნივთებით	დახმარების მიმღებ პირთა რაოდენობა	280 ბავშვი	400 ბავშვი	რაოდენობა	5%	ბავშვზე ზრუნვის განყოფილება	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და სოციალური სააგენტოდან მოწოდებული ინფორმაცია; ბენეფიციარის მიერ დაწერილი განცხადება	დროული ინფორმაციული მიწოდება

18 წლის და მეტი ასაკის შშმ პირთა, პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის პროგრამა 06 02 14

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნება 18 წლის და მეტი ასაკის შშმ პირები, რომელთაც ესაჭიროებათ პერსონალური ასისტენტის მომსახურება. ა) მომსახურების მიმღები პირის ინდივიდუალური საჭიროებისა და სურვილის მიხედვით, შეფასებისას გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად, პერსონალური ასისტირება იყოფა ორ კატეგორიად: რეგულარული და სპეციალიზებული. რეგულარული ასისტირების საჭიროების მქონე პირის შემთხვევაში, მომსახურება ითვალისწინებს თვეში არაუმეტეს 60 საათს, ხოლო სპეციალიზებული ასისტირების საჭიროების მქონე პირის შემთხვევაში, თვეში არაუმეტეს 120 საათს. ასისტირების სახეობა განისაზღვრება მომსახურებაში ჩართვის დროს შეფასების პროცესში.
ბ) მომსახურების მიმწოდებლის მიერ მოსაგებლის ინდივიდუალური საჭიროებისა და სურვილის მიხედვით, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურის მართვის სტანდარტების“ შესაბამისად, შემდეგი მომსახურებების მიწოდება: კვებაში დახმარება, თავის მოვლა, ჩაცმაში დახმარება, საოჯახო საქმე საყიდლებზე სიარული, მობილობისა და კომუნიკაციის, ჯანმრთელობის დაცვის, რეაბილიტაციისა და განვითარების მხარდაჭერა, მუშაობისა და დასვენების დღის დაგეგმვასა ან/და სხვა აქტივობებში ასისტირება, რაც არ არღვევს ასისტენტის შრომით და სხვა უფლებებს.

ქვეპროგრამის მიზანი:

შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა, პერსონალური ასისტირების საშუალებით.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

შშმ პირების ადაპტაცია არსებულ გარემოში;

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
შშმ პირთა დამოუკიდებელი	ინდიკატორის დასახელე	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებე	2027 წელი (მიზნობრივი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობ	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი

ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა, პერსონალური ასისტირების საშუალებით.	ბა	ლი)	მაჩვენებელი)		ა (%)			
	დახმარების მიმღებთა რაოდენობა	22	62	რაოდენობა	20%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისები განყოფილება	პირდაპირი მომართვიანობა	დაბალი ინფორმირებულობა

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა 07 00

აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალის გამოვლენა, ადგილობრივი მეწარმეების მხარდაჭერა, მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს მომავალში საბიუჯეტო შემოსავლების ზრდასა და ადგილობრივი მაცხოვრებლების დასაქმებასა და კეთილდღეობის ამაღლებას.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი/პროგრამა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
07 00	**ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა**	**750.0**	**780.0**	**840.0**	**920.0**
07 01	ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება	750.0	780.0	840.0	920.0
07 01 01	მუნიციპალური ქონების მართვა და განკარგვა (070101)	10.0	20.0	30.0	30.0
07 01 02	ოზურგეთის მუნიციპალტეტის ა(ა)იპ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრის ფუნქციონირება (მონაცემთა ბაზის შექმნა) (070102)	280.0	300.0	320.0	350.0
07 01 03	მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა (070103)	120.0	120.0	120.0	140.0

07 01 04	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (070104)	270.0	270.0	280.0	300.0
07 01 05	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა (070105)	70.0	70.0	90.0	100.0

ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება 07 01

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალური ქონების მართვის ეფექტურობისათვის დაგეგმილია ელექტრონული ბაზის მომზადება, სადაც თავს მოიყრის ინფორმაცია მუნიციპალური და სახელმწიფო ქონების შესახებ, ინფორმაცია განთავსდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ მათი ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიონ საჭირო ქონება ბიზნესის განვითარებისათვის, შესაბამისი განყოფილების მიერ ჩატარდება ელ. აუქციონი; გაგრძელდება ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმისათვის საჭირო საბაზისო მონაცემებზე მუშაობა და მომზადდება გეგმის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ ინფორმაცია;ადგილობრივი წარმოების გაზრდის და პოპულარიზაციისკენ მიმართული ღონისძიებები, კერძოდ,მუნიციპალური ეკონომიკური პროგრამების სტიმულირება,რითაც მხარდაჭერილი იქნება მეწამეებისა და ახალგაზრდების ინოვაციური იდეები;

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური შესაძლებობების განვითარება და ეკონომიკური სუბიექტების მხარდაჭერა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

გაზრდილია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური შესაძლებლობები და შექმნილია ხელსაყრელი გარემო ადგილობრივი მეწარმეებისთვის.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;

მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებე	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებე	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი

		ლი)	ლი)								
გაზრდილია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური შესაძლებლობები და შექმნილია ხელსაყრელი გარემო ადგილობრივი მეწარმეების თვის	ხელშეწყობილი ბიზნესების რაოდენობა	10	15	20	25	30	რაოდენობა	10%	ეკონომიკური განვითარების სამსახური	მონიტორინგი, მეწარმეთა გამოკითხვის შედეგები	ფორს-მაჟორი
	ჩატარებული ბიზნეს-ფორუმების რაოდენობა(ქალთა ფორუმი, აგრო და ტურისტული გამოფენა, საინვესტიციო ფორუმი)	2	5	5	5	5	რაოდენობა	10%	ეკონომიკური განვითარების სამსახური	მონიტორინგი	ფორს-მაჟორი

მუნიციპალური ქონების მართვა და განკარგვა 07 01 01

ქვეპროგრამის აღწერა:

წლის განმავლობაში განყოფილება კანონის შესაბამისად ახდენს საპრივატიზაციო ნუსხის და გეგმის მომზადებას და წარდგენას საკრებულოს წინაშე. დამტკიცებული ნუსხის მიხედვით ხდება ქონების შეფასება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, რის შემდეგაც ხდება ელექტრონული აუქციონის გამოცხადება.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალური ქონების ეფექტური მართვა და ამ მიზნით ელექტრონული აუქციონის ორგანიზება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია მუნიციპალური ქონების ეფექტური მართვა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), **რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:**
მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია მუნიციპალური ქონების ეფექტური მართვა	ქონების მართვის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა (მათ შორის ელ. აუქციონის გამოცხადება)	20	25	რაოდენობა	10%	ეკონომიკური განვითარების სამსახური	მიღება-ჩაბარების აქტები	ფორსმაჟორი

ოზურგეთის მუნიციპალტეტის ა(ა)იპ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრის ფუნქციონირება 07 01 02

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, სკვერებების ტროტუარების, შენობა-ნაგებობების, სასაფლაოების, სტადიონების, ახალი აზომვითი ნახაზების მომზადებისთვის სამუშაოების ადგილზე განხორციელება (ადგილზე წერტილების აღება, კვალების მონიშვნა. შენობა ნაგებობის შიდა აზომვა და ა.შ).

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების გენერალური გეგმის საბაზისო მონაცემების მომზადება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მომზადებულია გენერალური გეგმის საბაზისო მონაცემები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
მომზადებულია გენერალური გეგმის საბაზისო მონაცემები	მომზადებული დოკუმენტის რაოდენობა (ობიექტების აღრიცხვის, აზომვის მაჩვენებელი)	30%	35%	რაოდენობა	2%	ოზურგეთის მუნიციპალტეტის ა(ა)იპ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრი	სტატისტიკური	ფორსმაჟორი

მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა 07 01 03

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებისათვის განხორციელდება სხვადასხვა აქტივობები ,ამოქმედდება მუნიციპალური ეკონომიკური პროგრამები,რითაც მოხდება ადგილობრივი მეწარმეებისა და ახალგაზრდების ინოვაციური იდეების მხარდაჭერა, მოწყვლადი ჯგუფების საზოგადოებაში ინკლუზიის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის მიზანი:

ადგილობრივი მეწარმეების მხარდაჭერა, ქალი მეწარმეების წახალისება მათთვის საჭირო აქტივობების შეთავაზებით.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მხარდაჭერილი არიან ადგილობრივი მეწარმეები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:
მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;
მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
მხარდაჭერილი არიან ადგილობრივი მეწარმეები	მეწარმეების რაოდენობა, რომლებიც პროგრამებში მონაწილეობენ	50	70	რაოდენობა	5%	ეკონომიკური განვითარების სამსახური	მონიტორინგი	დაბალი ინტერესი
	ადგილობრივი მეწარმეების თანადაფინანსება	10	15	რაოდენობა	5%	ეკონომიკური განვითარების სამსახური	მონიტორინგი /ხელშეკრულებები	დაბალი ინტერესი
	სასწავლო პროგრამებში ჩართული მეწარმეების რაოდენობა	60 (მათ შორის ქალი 50%)	100 (მათ შორის ქალი 50%)	რაოდენობა	10%	ეკონომიკური განვითარების სამსახური	მონიტორინგი /ხელშეკრულებები	დაბალი ინტერესი

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა 07 01 05

ქვეპროგრამის აღწერა:

მეწარმეთა ფორუმი ხელს შეუწყობს მეწარმეების გაცნობას, გამოცდილების გაზიარებას 2027 წელს დაგეგმილია საინვესტიციო კატალოგის მომზადება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალის პოპულარიზაციას. საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება უზრუნველყოფს სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებას.

ქვეპროგრამის მიზანი:

ადგილობრივი მეწარმეების ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობა ჩაის ფესტივალის და ქალ მეწარმეთა ფორუმის ჩატარების გზით ; საინვესტიციო კატალოგის შედგენა;

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;
მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2026 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2027 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარება	ბენეფიციართა რაოდენობა, მცირე და საშუალო ბიზნესის, ფერმერული მეურნეობების	50	70	რაოდენობა	10%	ეკონომიკური განვითარების სამსახური	მონიტორინგი	ფორს-მაჟორი

	წარმომადგენლები							
	ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	4	6	რაოდენობა	5%	ეკონომიკური განვითარების სამსახური	მონიტორინგი /ხელშეკრულებები	ფორს - მაჟორი

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება.

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს.

ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება, მუნიციპალური ინსპექციის დაფინანსება.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი/პროგრამა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
1	2	3	4	5	6
01 00	**წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება**	**11,605.0**	**12,389.0**	**13,154.0**	**13,525.0**
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	11,245.0	12,029.0	12,794.0	13,165.0
01 01 01	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო (010101)	2,685.0	2,884.0	3,005.0	3,135.0
01 01 02	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია (020102)	7,510.0	8,045.0	8,589.0	8,780.0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური (020103)				
01 01 04	მუნიციპალური ინსპექცია (020104)	1,050.0	1,100.0	1,200.0	1,250.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	360.0	360.0	360.0	360.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი (010201)	350.0	350.0	350.0	350.0

01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა (010202)	0.0	0.0	0.0	0.0
01 02 03	მგფ-ის და სხვა დავალიანებების დაფარვა (010203)	0.0	0.0	0.0	0.0
01 02 04	სასამართლო გადაწყვეტილებებისა და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები (010204)				
01 02 05	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა	10.0	10.0	10.0	10.0

პროგრამული კოდი	**ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა**											
01 02 05												
პროგრამის დაფინანსება (ათას ლარში)	**20276 წლის დაფინანსება**			**2028 წლის დაფინანსება**			**2029 წლის დაფინანსება**			**2030 წლის დაფინანსება**		
	სულ	საკუთარი სახსრები	არასაკუთარი სახსრები	**სულ**	საკუთარი სახსრები	არასაკუთარი სახსრები	**სულ**	საკუთარი სახსრები	არასაკუთარი სახსრები	**სულ**	საკუთარი სახსრები	არასაკუთარი სახსრები
	10,0	10,0	-	10,0	10,0	-	10,0	10,0	-	10,0	10,0	-
პროგრამის განმახორციელებელი	**მერიის ადმინისტრაცია**											
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა											

პროგრამის აღწერა	საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ისეთ ფორმებს როგორებიცაა: ა) დასახლების საერთო კრება; ბ) პეტიცია; გ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო; დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა; ე) მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა. გარდა ამისა, კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია, გაიზარდოს მოქალაქეთა მონაწილეობა მათ საქმიანობაში და მოხდეს მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინება საქმიანობის დაგეგმვა-განხორციელებისას, რაც მათ შორის გულისხმობს სხვადასხვა ფორმებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით მოსახლეობის ინფორმირებას მონაწილეობის ფორმებისა და მუნიციპალიტეტის არსებული პროცესების შესახებ, ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული საჭიროებების გამოვლენის მიზნით სხვადასხვა მექანიზმებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით მოსახლეობასთან კომუნიკაციას, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, ბიუჯეტისა და პროგრამების ფორმირებისას მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების მიზნით სხვადასხვა მექანიზმების/ინსტრუმენტების გამოყენებას და სხვა. პროგრამა შედგება შემდეგი ღონისძიებებისგან: **1. მერის და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენის ორგანიზების პროცესის მხარდაჭერა და მოქალაქეთა მონაწილეობისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა;** **2. საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა;** **3. ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისთვის შესაბამისი სისტემის შექმნა, გაუმჯობესება და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;** **4. პეტიციის ელექტრონული მექანიზმების დანერგვა და სისტემის ფუნქციონირების ხელშეწყობა;**
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
პროგრამის შუალედური შედეგი	გაზრდილია ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე მუნიციპალტეტის საქმიანობისა და მუნიციპალური სერვისების შესახებ
პროგრამის საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია საზოგადოების ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ და ხელშეწყობილია მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	**ბენეფიციარები გენდერულ ჭრილში**		**პროგრამის გავლენა კლიმატის ცვლილებაზე**
ქვეპროგრამის ბენეფიციარია მუნიციპალიტეტის ყველა ახალგაზრდა და სრულწლოვანი მოსახლე, რომელიც თვითმმართველობის პროცესში ჩართვის სურვილს გამოთქვამს. რადგან პროგრამა არ ხორციელდებოდა გასულ წლებში რთულია პროგნოზირება თუ რა რაოდენობის ადგილობრივი მოსახლე ისარგებლებს ქვეპროგრამის მომსახურებით. წინასწარი გათვლებით პროგრამის ბენეფიციარები არ უნდა	**კაცი**	**ქალი**	ქვეპროგრამას არ აქვს გავლენა კლიმატის ცვლილებაზე;
	200	300	

იყოს 500 ადამიანზე ნაკლები			